გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 71
(11 732)

16 - 18 სექტემბერი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## რიჩარდ მაილსი: „ვიცი, რომ დღეს პატივს მიაგებთ მეხანძრეებს და 11 სექტემბრის სხვა მსხვერპლთ. მათი სახელით მადლობას გიხდით!"



2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ტერაქტების დროს დაღუპულ 343 მეხანძრის ხსოვნას მიუძღვნეს ქართველმა მეხანძრეებმა სახანძრო გამოყენებით სპორტში ასპარეზობა, რომელსაც აშშ-ში „ტერაქტების დროს დაღუპულ მეხანძრეთა მემორიალი" უწოდეს. ასპარეზობა გაიმართა 11 სექტემბერს, რიყეზე. სახანძრო გამოყენებით სპორტში 50-მდე ოსტატმა არაჩვეულებრივი სანახაობა მოუწყო მრავალრიცხოვან მაყურებელს, რომელთა შორის იყვნენ საქართველოში აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი რიჩარდ მაილსი, საქართველოში ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ქალბატონი რივკა კოჰენი, საქართველოში ინგლისის, საფრანგეთის, უკრაინის, გერმანიის, თურქეთის, იტალიის საელჩოების წარმომადგენლები. ყოველი ქართველისათვის სათაყვანებელი სხვადასხვა დროის ოლიმპიური ჩემპიონები მზია ჯუღელი, ლერი ხაბელოვი, რობერტ შავლაყაძე, რაფაელ ჩიმიშკიანი, შსს-ს ხელმძღვანელობა. რაც შეეხება ღონისძიების წამყვანს, მეხანძრეებმა არჩევანი საკომენტატორო

*იხ. მე-2 გვ.*

## «ლაგუნა-ვერე» 25 წლისაა

იუბილე თავისთავად ქმნის ამაღლებულ განწყობას. ამ დროს ერთ ფოკუსში იყრის თავს ყველაფერი. საზოგადოებრიობას შესაძლებლობა ეძლევა შთამბეჭდავად წარმოიდგინოს იუბილარის ნაღვაწ-ნაამაგარი. არა, ამჯერად პიროვნებაზე არ მოგახსენებთ. იუბილეებს ხომ მარტო სუბიექტებს არ უხდიან. ჰოდა, დღეს სახელოვან სპორტულ იმ ობიექტზე მოგითხრობთ, რომელმაც თავისი წარუშლელი კვალი დატოვა, როგორც სპორტში, ისე ხალხის კეთილდღეობის სამსახურში. თბილისის „ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსზე მოგახსენებთ.



1978 წლის 13 ოქტომბერი, შაბათი. სწორედ ამ დღეს გაიხსნა საზეიმო ვითარებაში საცურაო აუზი სანაპიროზე, იმ ადგილზე, რომელიც ადრე ფიზკულტურელთა პარკად იწოდებოდა თავისი მშვენებით — ღია საცურაო აუზით. უფროსი თაობის ადამიანებს, ცხადია, კარგად ახსოვთ იმ აუზის დამსახურება საქართველოში სპორტის წყა-

*იხ. მე-2 გვ.*

## რაგბი. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. III ტური.

## „ყოჩები" გალიდერდნენ...



მორაგბეთა ეროვნულ ჩემპიონატში კორექტივები ამინდმა შეიტანა — მთლიანად დაიტბორა ვარკეთილის სარბიელი, სადაც „ლელო" და „დათვები" უნდა შერკინებოდნენ ერთმანეთს. სწორედ არახელსაყრელი კლიმატური პირობების გამო, ერთხელ ბათუმელთა თხოვნით გადადებული ეს მატჩი, ახლა უკვე ტურნირის ორგანიზატორების თხოვნით გადაიდო.

იქვე უნდა გამართულიყო „ყოჩებისა" და „აკადემიის" შეხვედრა, მაგრამ ამ თამაშის სხვა დროისათვის გადატანას, ორმხრივი თანხმობით, მეტოქეებმა მეორე დღეს სპორტის აკადემიის მოედანზე თამაში ამჯობინეს. ეს იყო მესამე ტურის ცენტრალური მატჩი, რადგან ორივე კლუბი ამ ტურამდე დაუმარცხებლად მოვიდა. მხოლოდ ეგაა, „აკადემიას" აქტივში ერთი ფრე ჰქონდა.

მატჩი დაძაბულად წარიმართა. პირველებმა წარმატებას „ყოჩებმა" მიაღწიეს, მაგრამ მალე წინ „ლელო" გავიდა, პირველი ნახევარი მაინც ფრედ 8:8 დასრულდა, მეორე ნახევარში „აკადემიამ" ანგარიში 15-მდე გაზარდა, მაგრამ სულ ეს იყო. სამაგიეროდ, მეტოქემ იყოჩაღა და ერთი ქულით მოიგო მატჩი - 16:15 „ყოჩების" სასარგებლოდ. გათამაშების ცხრილის სათავეშიც სწორედ ეს გუნდი მოექცა, მათ ახლა 6 ქულა აქვთ სამი ტურის შემდეგ.

## ნომერშია:

• დიდი სიხარული და დიდი სინანული
• სპორტული ბაზის იუბილე
• ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
• და მაშინ, კრემლმა უბრძანა - ითამაშეთ და მოიგეთ



• ბექჰემი საკუთარ თავზე



• საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი



## ამას კი ნამდვილად არავინ მოელოდა



რაც მართალია, მართალია, ჩვენს ფალავნებს ყურადღება არ აკლიათ და ეს განპირობებულია იმ იმედით, რასაც მათ სამომავლო წარმატებებზე ამყარებენ, როგორც ქართული სპორტის მესვეურები, ისე გულშემატკივრები და, საერთოდ, საზოგადოებრიობა. ახლა, როგორც იტყვიან, სპორტული შემოდგომა და „მოსავლის მოწევის" დროც დადგა — ჩვენი მოჭიდავეები ჩაებნენ სალიცენზიო ბატალიებში, ანუ იმ უმაღლესი დონის შეჯიბრებებში, რომლებშიც მომავალ წელს, ათენში, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის უძლიერესები უნდა გამოავლინონ.

პირველები სარბიელზე გავიდნენ ძიუდოისტები ოსაკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. სწორედ იქ, იაპონიაში, ძიუდოს სამშობლოში თამაშდებოდა ათენის საგზურები. რომ ვთქვათ, ჩვენები ბედის საძიებლად ჩავიდნენ ოსაკაში, არ იქნება მართალი. ბედის ცდა კი არა, კონკრეტული ამოცანა ჰქონდა დასახული ნაკრებს და მის თავკაცებს — რაც შეიძლება მეტი მედლისა და ლიცენზიის მოპოვება.

სამწუხაროდ, პირველ დღეს უმედლოდ დავრჩით, მხოლოდ ასპარეზობის მეორე დღეს მოვიდა პირველი სიხარული, როცა **ზვიად ზვიადაურმა** (90 კგ) უკვე ფინალში გასვლით გაინაღდა მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება და მთავარი ახლა ის იყო, რომელი სინჯის მედალს დაეუფლებოდა. საწყენია, რომ ეს მედალი ვერცხლის აღმოჩნდა. ცხადია, ზვიადისგან ლიცენზიის მოპოვება მოსალოდნელი იყო, რადგან ამ წონაში ის უკვე ფლობდა მსოფლიო და ევროპის ვერცხლის მედლებს.

ფინალში თავიდან ყველაფერი ჩვენებურის სასარგებლოდ წარიმართა. ზვიადაურმა სამხრეთკორეელ ტაე ჰვანგს კოკა და ვაზარი აართვა, მაგრამ შემდეგ მონაპოვარს ვერ გაუფრთხილდა. მეტი მოინდომა და მაშინ, როცა შეხვედრის ნახევარი დრო მიწურული იყო, საკუთარ ეფექტურ ილეთს წამოეგო და დამარცხდა...

ფინალამდე ზვიადაურმა ზედიზედ სძლია ჩინელ ლამას, სერბ ბორდერიუქს, ისლანდიელ შკულასონს და კანადელ კეიტ მორგანს.

აი, ვიზედაც შეიძლება ითქვას ბედის საცდელად წავიდა ჩემპიონატზეო, ეს იყო **გრიგოლ მამრიკაშვილი.** მაგრამ ბედმა არ გაუღიმა ამ სპორტსმენს და პირველივე შეხვედრები წააგო, როგორც ძირითად, ისე სანუგეშო წრეში ჯერ ესპანელ ეჩარტესთან, შემდეგ — პოლონელ კრაჟჩუკთან.

ამის შემდეგ კი რაც მოხდა, სამწუხარო კი არა, სრული კატასტროფა ეთქმის. უკვე ვთქვით, რომ ოსაკაში ჩვენები ლიცენზიების და არა მხოლოდ ლიცენზიების, არამედ მედლების მისაღებად ჩავიდნენ, მაგრამ, დარჩა ოცნება ჰაერში გამოკიდებული. ჩემპიონატზე რომ ყველა ქვეყნიდან წარმატების წადილით მიემგზავრება, სავსებით ბუნებრივია. რაღა თქმა უნდა, უშელავათო იყო ორთაბრძოლები, მაგრამ ჩვენების ასეთი ხელმოცარვა არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. ჩვენ ხომ მსოფლიოში ძიუდოს ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად გვიცნობენ. აწ უკვე გვიცნობდნენ, რადგან ის, რაც ოსაკაში თავს გადაგვხდა, არამც და არამც არ ეკადრება ძიუდოს ერთ-ერთ ფავორიტ ქვეყანას.

რაღა მნიშვნელობა აქვს ახლა ერთიორი შეხვედრა ვინ მოიგო და ვისთან, მთავარია საბოლოო ჯამში ყველამ წააგო და ექვსეულის მიღმაც დარჩა. მხოლოდ ზვიადაურის ვერცხლი და მისივე ლიცენზია, სულ ეს არის!

არადა, ვინ მოელოდა!

**მიმომხილველი**



საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სპორტკომიტეტის თავჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი

ნუზა (ნოდარ) გაგოშიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

# საქართველო მსოფლიო ფალავანია!

## ქართული სპორტის ისტორიაში პირველად გახდა ქართული გუნდი მსოფლიო ჩემპიონი. ვაშა!!!

ვულოცავთ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ფალავნობას!

ვულოცავთ სპორტის ხელმძღვანელებს, ვულოცავთ ფედერაციის პრეზიდენტს გოჩა ძასოხოვს, მთავარ მწვრთნელს ზაზა თურმანიძეს, მწვრთნელებს, ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში.

ვულოცავთ სოხუმელ ელდარ კურტანიძეს (96 კგ) ორგზის მსოფლიო ჩემპიონობას, რომელმაც ფინალში 4:0 სძლია ირანელ ალი რეზა ჰეიდარს.

ვულოცავთ ბრინჯაოს მედალს რევაზ მინდორაშვილს (84 კგ).

ვულოცავთ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ხუთი ლიცენზიის მოპოვებას.

გვიმრავლოს!

ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო და მოხდა მაშინ, როცა საქართველოს ძალიან ესაჭიროება სახელისა და დიდების წარმოჩენა მთელ მსოფლიოში, როცა ჩვენც ესოდენ გვჭირდებოდა სიამაყით თავის მაღლა აწევა მომავლის რწმენის განსამტკიცებლად. ქართულმა გენმა დაამტკიცა ის, რისი ღირსიც იყო. ქართული ჭიდაობის ტრადიციებზე აღზრდილმა თაობამ, მისმა რჩეულმა გუნდმა, სამყაროს დაუმტკიცა, რომ „ძალა შესწევს ქადილისა", რომ ჩვენ იმ ერის შვილები ვართ, რომლებიც ოდითგანვე იბრძვის გამარჯვებისათვის და აი ეს „დიდგორიც" მოვიდა. მერე როდის და რა ვითარებაში, — როცა მსოფლიოს რჩეული ათლეტები არც სახსრებს და არც თავს ზოგავენ 2004 წლის ოლიმპიური თამაშების საგზურების მოსაპოვებლად.

ჩვენ გავილაღეთ, ჩვენ მთელ მსოფლიოს დავუმტკიცეთ „ვისი გორისანი ვართ"!

* * *

ხვალ, 17 სექტემბერს, საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრები ნიუ-იორკიდან თბილისში დაბრუნდება ამსტერდამის საჰაერო რეისით 18 საათზე.

**თავისუფალი ჭიდაობა. ნიუ-იორკი. მსოფლიო ჩემპიონატი. გუნდური ადგილები:** 1. საქართველო — 33 ქ, 2. აშშ — 31, 3. ირანი— 31, 4. რუსეთი — 30, 5. უზბეკეთი — 23, 6. უკრაინა — 23,




7. ბელარუსი — 21, 8. კუბა — 21, 9. ყაზახეთი — 21, 10. ბულგარეთი — 17.

**კვარცხლბეკი**

**55 კგ:** 1. მანსუროვი (უზბეკეთი)
2. ტულბეია (მოლდოვა)
3. ზახარიუკი (უკრაინა)

**60 კგ:** 1. აბდულაევი (აზერბაიჯანი)
2. იანდრო (კუბა)
3. სონ მიუნ ქა (კორეა)

**66 კგ:** 1. ფარნიევი (რუსეთი)
2. ივანოვი (ბულგარეთი)
3. იკემაცუ (იაპონია)

**74 კგ:** 1. საიტიევი (რუსეთი)
2. კაიდაროვი (ბელარუსი)
3. ლალიევი (ყაზახეთი)

**84 კგ:** 1. საჟიდოვი (რუსეთი)
2. სენდერსონი (აშშ)
**3. მინდორაშვილი (საქართველო)**

**96 კგ:** 1. **კურტანიძე (საქართვ.)**
2. ჰეიდარი (ირანი)
3. კოჩიევი (ბულგარეთი)

**120 კგ:** 1. თაიმაზოვი (უზბეკეთი)
2. მაკოი (აშშ)
3. რეზაეი (ირანი).



ATHENS 2004

ათენში 2004 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე 335 დღე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 6 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ საორბს!

**უკეთ, ვიდრე სიდნეიში!**

## რიჩარდ მაილსი: „ვიცი, რომ დღეს პატივს მიაგებთ მეხანძრეებს და 11 სექტემბრის სხვა მსხვერპლთ. მათი სახელით მადლობას გიხდით!"

1-ლი გვერდიდან



ოლიმპიური ჩემპიონები - მარცხნიდან: ლერი ხაბელოვი, რობერტ შავლაყაძე, მზია ჯუღელი, რაფაელ ჩიმიშკიანი

ხელოვნების დიდოსტატზე ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილზე შეაჩერეს.

ტურნირში გამარჯვებულად დასახელდა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის გუნდი, რომლის კაპიტანს, იგივე რაზმის უფროსს, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ ტიტე ჯიქონაიას გადაეცა მთავარი პრიზი. მეორე და მესამე ადგილებისათვის პრიზები გადაეცათ — შესაბამისად გლდანი-ნაძალადევის რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის რაზმის გუნდს, (კაპიტანი — პოლიციის უფროსი ლეიტენანტი გია კოდოლაშვილი) და ვაკე-საბურთალოს რაიონის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის გუნდს (კაპიტანი — პოლიციის უფროსი ლეიტენანტი კობა ბრეგვაძე). გამარჯვებულ პრიზიორებს აგრეთვე გადაეცათ საქართველოს სპორტკომიტეტის დეპარტამენტისა და საქართველოს შსს-ს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს საპატიო



სიგელები, რომლებიც გადასცეს საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლერი ხაბელოვმა, შსს-ს მოადგილეებმა, პოლიციის გენერალ-მაიორებმა დავით თოდუამ და შოთა ასათიანმა. საგანგებოდ აღინიშნა მთავარი მსაჯის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ცნობილი ვეტერანის, პოლიციის პოლკოვნიკ ოთარ ჰაბუკიანის ღვაწლი, რომელიც დააჯილდოვა რობერტ შავლაყაძემ. საპატიო პრიზებით დაჯილდოვდნენ ტურნირში მონაწილე ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენი კახა ბადრიაშვილი და საგანგებო სპორტის ვეტერანი, რუსთაველი ვასილ ნანუაშვილი, რომლებსაც პრიზები გადასცეს მზია ჯუღელმა და რაფაელ ჩიმიშკიანმა. ეს ტურნირი ბონდო შანიძის ტურნირთან ერთად საპატიო ადგილს დაიკავებს მეხანძრეთა სპორტულ კალენდარში. ბოლოს სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა რიჩარდ მაილსმა.

**ავთანდილ მახარაშვილი**
**საქართველოს შსს-ს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პრესცენტრის ხელმძღვანელი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.**

P.S. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველო მადლობას უხდის გაზეთ „ლელოს" რედაქციას, იმ თანადგომისათვის, რომელიც გამოიჩინა საქართველოს ამ უძველესმა სპორტულმა გამოცემამ.**

# «ლაგუნა-ვერე» 25 წლისაა

პირველი გვერდიდან

ლთა სახეობების განვითარებაში. მის ცისფერ ბილიკებზე დაოსტატდნენ არაერთი თაობის მოცურავეები, მის ცისფერ სამყაროში აღიზარდნენ ლეგენდარული წყალბურთელები, ასევე ლეგენდარული მწვრთნელების თავდაუზოგავი გარჯით, აქ ცასა და წყალს შუა ხვეწდნენ თავბრუდამხვევ ილეთებს წყალში მხტომელები. ისტორიას კი სამარადჟამოდ შემორჩა იმ აუზზე გამართული სპორტული ბატალიები.

მარადიული ქვეყნად მართლაც არაფერია, მაგრამ ზემოხსენებულმა ძველმა „კუპალნიამ", მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე სამანქანო გზის გაყვანას ხელოვნურად შეწირულმა საწყლოსნო ბაზამ, ბევრს გული ისე დასწყვიტა, თითქოს ძვირფასი საგანძური დაეკარგოს. და იყო კიდეც ასეთი! სპორტის მაშინდელმა თავკაცებმა იმდენი იომეს, მთავრობა მაინც დაიყოლიეს კომპრომისზე — იქვე გაშენდებოდა ახალი, თანამედროვე საწყლოსნო კომპლექსი.

ნოსტალგია ძველის გამო, იმდენად დიდი იყო, მაშინ საგანგებოდ დავდიოდით ახალმშენებლობის თვალის მისადევნებლად. მით უფრო, რომ კარგა ხანს დაკონსერვებული იყო მშენებლობა. განახლების შემდეგ ზოზინით როდი მუშაობდნენ, დღითი დღე იზრდებოდა ტემპი, რასაც სტიმულს აძლევდა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკთა ხშირ-ხშირი სტუმრობა სამშენებლო პოლიგონზე.

ამონაწერი გაზეთ „ლელოს" 1978 წლის 8 ოქტომბრის ნომრიდან: „გუშინ თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ახალი სპორტული კომპლექსი. ირგვლივ დროშების ტყეა. ყველაფერი საზეიმოდ გამოიყურება. ეს კუთხე ასე მორთული არავის უნახავს. სტალინის სახელობის სანაპიროზე ადრე არსებული აუზის ტრიბუნები ორი ათას კაცს თუ იტევდა, აქ კი სამჯერ მეტ თბილისელს მოუყრია თავი. მსურველი ათჯერ მეტიც იყო — ყველას უნდოდა ლენინური კომკავშირის სახელობის თბილისის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის — ჩვენი დედაქალაქის კიდევ ერთი მშვენების საზეიმო გახსნას დასწრებოდა — მისი მშენებლობისა და სპორტსმენების ერთობლივი ზეიმი ენახა... შეკრებილთ მიესალმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. მენთეშაშვილი, აგრეთვე აკადემიკოსი ნ. კეცხოველი"...

„ინქმშენმა", ქვემოიჯარე ორგანიზაციებმა, ყველაფერი იღონეს, რომ მთავარი არქიტექტორის შ. ყავლაშვილის პროექტისთვის უზადოდ შეესხათ ხორცი. მშენებლებს შაბათობებით მხარში ამოუდგა თბილისის სტუდენტი ახალგაზრდობა.

კომპლექსის გახსნის წინა დღეს, 7 ოქტომბერს მისი დირექტორი ვ. გოიაშვილი „ლელოში" წერდა: „ის რად ღირს, რომ ამ კომპლექსის აგებით მთლად შეიცვალა მდინარე ვერეს კალაპოტი გმირთა მოედნიდან მის დასასრულამდე. ამ მოედნის რეკონსტრუქციასთან ერთად სპორტულმა კომპლექსმა შესანიშნავი პანორამა შექმნა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენს დედაქალაქს ჯანმრთელობის კიდევ ერთი ცენტრი შეემატა — ცურვაში, წყალში ხტომასა და წყალბურთში ჩვენი სპორტსმენების ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის ცენტრი".

და დაიძლია ძველი კომპლექსის გაუქმებით თავჩენილი ჩამორჩენა.

ვლადიმერ გოიაშვილი, როგორც წყალთა სახეობების სპეციალისტი და მომთხოვნელობით გამორჩეული ორგანიზატორი, განახლებული მშენებლობის პროცესშივე დანიშნეს მეთვალყურე-დირექტორად. ასე რომ, ამ კაცმა ისიც იცის, აქ, როგორც იტყვიან, თითოეული ქვა სად დევს. უმადურობა იქნებოდა კომპლექსის გახსნის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ორიოდე სიტყვა არ გვეთქვა საქმეში ამ მუხლჩაუხრელ პიროვნებაზე. საწყლოსნო კომპლექსის ისტორია ეს მისი ცხოვრების მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორიაცაა, მისი ბიოგრაფიის ყველაზე სისხლსავსე ნაწილია. და, რაც მთავარია, საზოგადოებრივი ფორმაციის ცვლილებამ მასში უცვლელი დატოვა უმთავრესი პრინციპები, რასაც კრებსითად ქართული სპორტის შეურყეველი სამსახური ჰქვია. ბევრჯერ დავფიქრებულვარ და ყოველთვის მივსულვარ ერთ დასკვნამდე — რომ არა ვ. გოიაშვილი, დღეს ქართული სპორტის არანაკლებ მნიშვნელოვან ძველ კერებს შორის ეს ერთადერთი ნათელი წერტილიც არ იკიაფებდა. დაფიქრდით და თქვენც დამეთანხმებით. მაგრამ მისთვის მთავარი მხოლოდ ბაზის პატრონობა როდია. წყალთა სახეობებს უდგას ერთგულ გუშაგად და რომ არა აქაც მისი ძალისხმევა — ცურვა, წყალბურთი და წყალში ხტომა, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იქცეოდა წარსულის მწარე მოგონებად. და აქვე როგორ არ ვუთხრათ მადლობა სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელებს, რომლებიც გაგებით ეკიდებიან ვ. გოიაშვილის თავდადებას საქმისადმი.

უკვე 25 წელი გასულა — კოხტა კომპლექსის მარადიული სიჭაბუკის ჯერ მხოლოდ მეოთხედი საუკუნე!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ლ — მატიანე
### 50 წლის წინათ...

ეს ამბავი ზუსტად 50 წლის წინათ მოხდა. ხუთეულმა, რომელთა ფოტოებსაც აქვე გთავაზობთ, მაშინ ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორის დიმიტრი ობოლაძის ხელმძღვანელობით დალაშქრა დიხ-თაუ-შხარას მასივი, მანამდე გაუვლელი გზით. მეტად რთული ტრავერსის შესასრულებლად დიმიტრი ობოლაძემ სწორედ ეს ხუთეული შეარჩია და საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმში დიდი წინააღმდეგობის შემდეგ გამოითხოვა ლაშქრობის ნებართვა, რაც ბრწყინვალედ დაგვირგვინდა (ნახატზე მოცემულია ტრავერსი, რომელიც მამაცმა ქართველმა ალპინისტებმა საბჭოთა ალპინიზმის 30 წლისთავის აღსანიშნავად გაიარეს დიხ-თაუდან შხარამდე).

**გმირული ტრავერსი**





**ჩოხატაური.** ლელობურთში რაიონის პირველობა 9 გუნდთან პაექრობაში მოიგო ერკეთის კოლმეურნეობის გუნდმა, რომელმაც მას შემდეგ, რაც ხიდისთაველებთან თანაბარი (14-14) ქულა მოაგროვა, ამ უკანასკნელს სძლია დამატებით მატჩში — 14:4. მესამე ადგილზე გავიდა გორაბერეჟოულის ტექნიკუმის გუნდი.

**სტალინირი.** სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფრენბურთელთა პირველობაში ქალთა შორის გამარჯვება წილად ხვდა ქალაქის მე-3 საშუალო სკოლის გუნდს, ვაჟებში — მე-2 საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

**სოხუმი.** აფხაზეთის სოფლის ველოსიპედისტთა პირველობა მოიგო სოხუმის რაიონის გუნდმა, მეორე იყო გულრიფშის გუნდი. მათ გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდა ოჩამჩირის ნაკრები.

**თბილისი.** დედაქალაქის დოსააფის ორგანიზაციამ დილომში ჩაატარა შეჯიბრება სროლაში 35 სპორტსმენის მონაწილეობით. ვაჟებში პირველი იყო უ. ელიაშვილი, ქალებში — მ. ჰიპაშვილი.

**ნიჩბოსნობა.** თბილისის სპორტის ისტორიაში ლისის ტბაზე პირველად ჩატარდა ნიჩბოსანთა ასპარეზობა სპორტულ საზოგადოებებს შორის. ადგილები განაწილდა ასე: 1. „ტრუდი", 2. „დინამო", 3. „ენერგია".

# ნიკოლოზ (ნიკო) ელერდაშვილი



ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ნიკოლოზ ელერდაშვილი.

დაიბადა 1959 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი და ეს არც იყო გასაკვირი. რადგან, ნ. ელერდაშვილი იყო წარმომადგენელი იმ საჩოგბურთო ოჯახისა, რომელმაც საფუძველი დაუდო თბილისში ამ არისტოკრატული სპორტის განვითარებას.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა ქ. თელავში, სადაც მისი დიდი ძალისხმევით აშენდა შესანიშნავი საჩოგბურთო ცენტრი, თელავი შემდგომში ჩოგბურთელთა საყვარელ ქალაქად იქცა. აქ ტარდებოდა როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო შეჯიბრებები.

ნ. ელერდაშვილი აქტიურად იყო ჩაბმული მომავალი თაობის სპორტსმენთა აღზრდაში, მისმა მოწაფეებმა არაერთხელ გამოიჩინეს თავი სხვადასხვა დონის საერთაშორისო ტურნირებში.

1991 წელს, როცა ყალიბდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია, ნ. ელერდაშვილი აქტიურად მონაწილეობდა მის ფორმირებაში.

წლების განმავლობაში იყო საქართველოს ნაკრები გუნდის უცვლელი კაპიტანი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრებმა გუნდმა ორჯერ, 1996 და 2003 წლებში მოახერხა „დევისის თასის" გათამაშების მეორე პრესტიჟულ ჯგუფში გადასვლა, რაც ჩვენი გუნდის უდავო მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ნ. ელერდაშვილი ოცნებობდა 2004 წლის „დევისის თასის" გათამაშებაზე, რომლის ერთ-ერთი ეტაპიც თბილისში ჩატარდება. სამწუხაროდ, ეს ღონისძიება მის გარეშე ჩაივლის. ასე ინება ბედისწერამ.

საქართველოს სპორტულმა საზოგადოებამ დაკარგა შესანიშნავი ადამიანი, გულისხმიერი მეგობარი, დიდი იუმორის პიროვნება, დიდი სპეციალისტი, მისმა ერთადერთმა ქალიშვილმა ნუკამ — მოსიყვარულე მამა.

ნ. ელერდაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მათ გულებში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია.

„ლელოს" რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს შესანიშნავი პიროვნებისა და ჩოგბურთის ღვაწლმოსილი სპეციალისტის
ნიკოლოზ (ნიკო) ელერდაშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ოჯახს, ქართულ საჩოგბურთო სამყაროს.

# სასწაული 64 წლის შემდეგ
## ლიტვის ნაკრები ევროპის ჩემპიონია!



ევროპის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი ბევრისთვის მოულოდნელად ლიტვის ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. მართალია, ლიტვურ კალათბურთს ძალზე მდიდარი ტრადიციები აქვს, თუმცა მათგან ასეთ ბრწყინვალე თამაშს ბევრი ნამდვილად არ ელოდა.

ნახევარფინალში ლიტველები ფრანგებს შეხვდნენ და მეტოქე ოთხი ქულის სხვაობით დაამარცხეს. ფინალში კი ესპანეთის საკმაოდ ძლიერ გუნდს „შეეჯახნენ". სპეციალისტები უპირატესობას პირენეის ნახევარკუნძულელებს ანიჭებდნენ, მაგრამ ისინი ბალტიისპირელებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს. ლიტველებმა პირველი პერიოდი ერთი ქულის სხვაობით მოიგეს (20:19), მაგრამ, როცა მეორე პერიოდის შემდეგ სხვაობამ 9 ქულას მიაღწია, ესპანელებმა დამარცხების საფრთხე იგრძნეს და სიტუაციის გამოსწორებას შეეცადნენ, თუმცა, უშედეგოდ. ლიტველები თანდათან ზრდიდნენ სხვაობას. ესპანეთის ნაკრებს ვერ უშველა ლიდერის გასოლის შედეგიანობამ (მან სულ 36 ქულა დააგროვა). ბალტიისპირელმა კალათბურთელებმა საბოლოოდ 9 ქულის სხვაობით იმარჯვეს 93:84 და 64 წლის შემდეგ მეორედ მოიპოვეს ევროპის ჩემპიონის ტიტული. ფინალურ შეხვედრაში მოასპარეზე გუნდების შემადგენლობა ასეთი გახლდათ:

**ლიტვა:** მაციაუსკასი (21), ე. ქუკაუსკასი (9), იასიკიავიჩუსი (10), სონგაილა (10), შტრომბერგასი (9), შიშკაუსკასი (9), ლავრინოვიჩი (7), მ. ქუკაუსკასი (7), სლალინა (2), სალენგა.

**ესპანეთი:** გასოლი (36), ნავარო (18), გარბახოსა (17), ერეროსი (7), კალდერონი (5), დე ლა ფუენტე (1), გრიმაუ, მარკო, რეიესი, ხიმენესი, ბუენო.

# ფეხბურთი რასიზმის გარეშე



## „თბილისი" - „დინამო" თბილისი

საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში VII ტური უმაღლესი ლიგა

„რატომაც არა, მათ ხომ ყველაფერი შეუძლიათ" — ასე იხსენებენ თბილისის „დინამოს", რაც ცოტაოდენ მართალიცაა. ოზურგეთის „მერცხალთან" გამარჯვების შემდეგ, არც „თბილისთან" გასჭირვებია დინამოს ქულების ალება. XV ეროვნულ ჩემპიონატში, როგორც ჩანს, „დინამო" კვლავ ლიდერობისთვის იბრძოლებს.

კვირას, 14 სექტემბერს გამართულ შეხვედრაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ „დინამომ" ძალები არ დაზოგა. პირველივე წუთებში ვიხილეთ შემტევი და ლამაზი ფეხბურთი. ორივე გუნდი დიდი ძალებით იბრძოდა გამარჯვებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ „დინამოში" არ თამაშობდნენ წამყვანი ფეხბურთელები — ბურდული და ანჩაბაძე, გუნდმა მაინც კარგი შთაბეჭდილება დატოვა.



ხორვატმა მწვრთნელმა ახალი სქემით ათამაშა შეგირდები და, ვფიქრობ, გაამართლა კიდეც. რაც შეეხება „თბილისს", ეს გუნდი დაკომპლექტებულია მართლაც კარგი ფეხბურთელებით, თუმცა „დინამოსთან" გამარჯვება მათ ვერ მოახერხეს. მასპინძელთა კარი, თითქმის, მთელი ტაიმი შემორჩა მშრალად, რაც მეკარის ივარდავასა და მცველების თავგამოდებულმა თამაშმა განაპირობა. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც დარასელიამ მეტოქის საჯარიმოში ახალაია მოძებნა და კარგი პასიც მისცა, ამ უკანასკნელმა ბურთი ძელს მოახვედრა, თუმცა მეკარესთან მარტოდ დრჩენილ მელქაძეს ანგარიშის გახსნა არ გასჭირვებია.



მეორე ტაიმში „თბილისმა" ყურადღება მოადუნა, რითაც 52-ე წუთზე ბობოხიძემ ისარგებლა და... 2-0. მეორე გაშვებული გოლის შემდეგ მასპინძლები უფრო აირივნენ. დარასელიამ კი, რომელიც უდავოდ, ერთ-ერთი საუკეთესო იყო გუნდში, 69-ე წუთზე მელქაძის პასის შემდეგ ანგარიში სამამდე გაზარდა. მელქაძის შეცვლას მოჰყვა ალექსიძის გამოსვლა მინდორზე, რომელმაც ამ დღეს პირველად ითამაშა მკურნალობის შემდეგ და გოლის გატანაც მოახერხა, რაც ნამდვილად აღსანიშნავია. 4-0, ასეთი ანგარიშით მოიგეს თამაში დინამოელებმა და სატურნირო ცხრილშიც კვლავ პირველ ადგილზე არიან.

**ლელა ჭანკოტაძე**

**ფოტოები ელდარ მალხაზიშვილისა**

## „ვიტ ჯორჯია" – „სპარტაკი-ლაზიკა" 2-0

მატჩის სადებიუტო ნაწილი „ვიტ ჯორჯიას" სრული უპირატესობით წარიმართა.

პირველი წუთებიდანვე შეუტია „ვიტ ჯორჯიამ" მეტოქეს და შეეცადა საწყის წუთებშივე გაეტანა გოლი, მაგრამ კარგად თამაშობდნენ „სპარტაკი — ლაზიკას" ახალგაზრდა მცველები. მატჩი ძირითადად სტუმრების ნახევარზე მიმდინარეობდა. ისინი ვერ ახერხებდნენ ორგანიზებული შეტევის განხორციელებას. მატჩის განმავლობაში ძალიან აქტიური იყო ვიტჯორჯიელი ოთარ მარცვალაძე, რომელიც მომეტებული თავგამოდებით ცდილობდა გოლის გატანას, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნახევრის ბოლო წუთზე მოახერხა. მარჯვენა ფლანგიდან გოჩაშვილის დარტყმული მეკარე მამალაძემ მოიგერია, დამატებაზე კი ყველას მარცვალაძემ დაასწრო და ანგარიშიც გაიხსნა.

მანამდე კი, ჯერ 35-ე წუთზე უხეშობისთვის ყვითელი ბარათით დასაჯეს სტუმარი ალექსანდრე იმნაიშვილი, ხუთიოდე წუთში ყვითელი ბარათი ვიტჯორჯიელმა ალექსანდრე ინწკირველმაც მიიღო და გუნდები შესვენებაზე გავიდნენ.

მეორე ნახევარი „ვიტ ჯორჯიას" იერიშებით განახლდა. ერთ-ერთ ეპიზოდში გიორგი დეკანოსიძემ მამალაძეს შორიდან დაურტყა, მაგრამ მცირედით არაზუსტად. ამ მომენტის შემდეგ მატჩი ოდნავ დაწყნარდა და გუნდები იშვიათად გადადიოდნენ შეტევებში. მე-60 წუთზე მოხდა პირველი ცვლილება, — სპარტაკელ მამუკა არეშიძის ნაცვლად მოედანზე შემოვიდა დავით სულაქველიძე. 65-ე წუთზე ერთ-ერთი იშვიათი შეტევისას მარჯვენა ფლანგიდან ჩამოწოდებულს ინწკირველმა თავი შეაშველა და ანგარიში ორამდე გაზარდა. ორიოდე წუთში ზურაბ ბერიძემ პირველი ცვლილება გააკეთა და მეორე გოლის ავტორი ალექსანდრე ინწკირველი მოედნიდან გაიყვანა, მის ნაცვლად მოედანზე გამოვიდა დავით მამარდაშვილი. ცოტა ხანში მოედანზე ვლადიმერ გოჩაშვილის ნაცვლად ერეკლე მერებაშვილიც გამოჩნდა. შემდეგ მატჩი უხეშად და ნელ ტემპში მიმდინარეობდა. თამაშის ბოლო წუთებზე გუნდები გააქტიურდნენ და სტუმართა შეტევისას თენგიზ კობიაშვილი უხეშად ეთამაშა ალექსანდრე იმნაიშვილს, რის გამოც ყვითელი ბარათი დასტყუა მატჩის არბიტრს. „სპარტაკი — ლაზიკამ" განაგრძო შეტევები, მაგრამ, უშედეგოდ. ერთ-ერთი ბოლო იერიშისას კი მატჩის მთავარი არბიტრის შილაკაძის საფინალო სასტვენიც გაისმა.

**იოსებ ჯავახიშვილი**

* * *

ტურის ცენტრალური მატჩი რკინიგზელთა სარბიელზე შედგა. „ლოკომოტივმა" „კოლხეთს" უმასპინძლა. საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო მატჩში მეტად საჭირო გამარჯვება რკინიგზელებმა მოიპოვეს. პირველი გოლი მეტოქეთა კარში მიქაძემ თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა. რამდენიმე წუთში კოლხებს ანგარიშის გათანაბრების შესანიშნავი შანსი მიეცათ, მაგრამ ლოკომოტიველთა მეკარემ გრიშიკაშვილმა სტუმართა თავდამსხმელს გაგუას პენალტი აუღო. მასპინძელთა უპირატესობას ლოგიკური წერტილი შესანიშნავად მოთამაშე სირაძემ მეორე გოლით დაუსვა მატჩის ბოლო წუთებზე. „ლოკომოტივმა" მოიგო და მეტოქეს ქულებით გაუთანაბრდა. ზუგდიდელთა გუნდის დამარცხებით ლიდერობა შეინარჩუნა თბილისის „ვიტ ჯორჯიამ". ბოლნისის „სიონმა" და გორის „დილამ" თითოთითო გოლით მოუგეს თავიანთ მეტოქეებს. გაუჭირდა გასვლით მატჩში ქუთაისის „ტორპედოს". სტუმრებმა ოზურგეთიდან მხოლოდ ერთი ქულის წამოღება შეძლეს. ტური კი მთლიანობაში, კვირას დასრულდა „შევარდენის" სტადიონზე გამართული თბილისური დერბით...

ლოკომოტივი — კოლხეთი 1913 2-0.

ვიტ ჯორჯია — სპარტაკი — ლაზიკა 2-0

მერცხალი — ტორპედო 0-0

სიონი — დინამო (ბთ) 1-0

მცხეთა — დილა 0-1

თბილისი — დინამო (თბ) 0-4

## ტურის სტატისტიკა

**თბილისი. 13 სექტემბერი. სტადიონი „ლოკომოტივი". 500 მაყურებელი.**

**ლოკომოტ. – კოლხ. 1913 2-0**

**ლოკომოტივი:** გრიშიკაშვილი, ორბელაძე, უგრეხელიძე, ლ. სალუქვაძე, სირაძე, რ. ონიანი, სიჭინავა, ბურნაძე (ძამასაშვილი 83), სოსელია (მანწკავა 70), მიქაძე, ხომერიკი (გოგინაშვილი 78).

**კოლხეთი:** ბათიაშვილი, სვანაძე, შალამბერიძე, მინდაძე, ღალანიძე, მალანია, თაყაძე (ტყებუჩავა 73), ღონღაძე, ტულუში (ქუტიძე 60), აკობია, გაგუა.

**გოლები:** 1-0 მიქაძე (50 პ). 2-0 სირაძე (90).

**პენალტი 56-ე წთ-ზე ვერ გამოიყენა გაგუამ.**

**მსაჯი:** დ. სანაია (სოხუმი)

**გააფრთხილეს:** აკობია (9), ღონღაძე (63), მანწკავა (78), სიჭინავა (60), ონიანი (88).

**ოზურგეთი. 13 სექტემბერი. ცენტრალური სტადიონი. 2000 მაყურებელი.**

**მერცხალი – ტორპედო 0-0**

**მერცხალი:** გია გოგუა, კობაური, კვირკვია, ჭაღიაშვილი, მჟავანაძე, ბართია, ხუჭუა (სიამაშვილი 72), კალანდაძე, ჰინჭარაული (გრიგორიევი 89), გაბედავა, მებონია.

**ტორპედო:** სტურუა, მახვილაძე, ხვადაგიანი, ლ. ჭელიძე, ს. თოდუა, კვეტენაძე (ლაღიძე 89), ბაბუნაშვილი, ნერგაძე, ახალკაცი, კვერნაძე (მუშკუდიანი 84), გამეზარდაშვილი.

**გააფრთხილეს:** კობაური (51), კვეტენაძე (79)

**მსაჯი:** ა. მეშკოვი (თბილისი)

**თბილისი. 14 სექტემბერი. სტადიონი „შევარდენი". 1000 მაყურებელი**

**თბილისი – დინამო (თბ) 0-4**

**თბილისი:** ივარდავა, ოდიკაძე (გოგუა 69), კვარაცხელია, სიდამონიძე, მესხი, გემეზაშვილი, დავითაშვილი (ჯაკობია 69), მემარნიშვილი, ნადირაშვილი, აფციაური, მიკუჩაძე (დათვაძე 70).

**დინამო:** ზოიძე, კარლოსი (სახვაძე 83), წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია, გოგობერიშვილი, ახალაია (კანდელაკი 65), დარასელია, მელქაძე (ალექსიძე 72), ბობოხიძე (კანდელაკი 61).

**გოლები:** 0-1 მელქაძე (37), 0-2 ბობოხიძე (53), 0-3 დარასელია (71), 0-4 ალექსიძე (80).

**გააფრთხილეს:** აფციაური (28), ბობოხიძე (48).

**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**ბოლნისი. 13 სექტემბერი, თ. სტეფანიას სახელობის სტადიონი. 1500 მაყურებელი.**

**სიონი – დინამო (ბთ) 1-0**

**სიონი:** ვოლკოვი, ხუჯაძე, ქიქვეიშვილი, კვეკვესკირი, გილაური (დაუშვილი 75), კოშკაძე, გუჩუა (წივწივაძე 69), გაბიდაური, გაბისკირია, გონჩაროვი (ფანჩულიძე 90), ისიანი.

**დინამო:** ქვაჩახია, მახარაძე, გეგეშიძე, დუმბაძე, მ. სალუქვაძე, ქაცარავა, ცანავა, ი. შენგელია, მანჩხავა, კაკალაძე, სირბილაძე.

**გოლი:** 1-0 გონჩაროვი (89 პ).

**გააფრთხილეს:** ცანავა (57)

**მსაჯი:** ა. ორდინიძე (ონი).

**მცხეთა. 13 სექტემბერი. სტადიონი „არმაზი". 100 მაყურებელი.**

**მცხეთა –დილა 0-1**

**მცხეთა:** ცინაძე, ამბიძე, ჯაფარიძე, გ. ქბაძე, რაქვიაშვილი, ჩიტაური (პარამონოვი 46), თირქია, ჩაჩუა (მუშუქია 15), ლ. ქბაძე, მელიქია, ჩხაიძე.

**დილა:** სოღოლაშვილი, ბალაშვილი, რ. ხაჟაპურიძე, გ. ლომიძე, ლაცაბიძე, კაიდარაშვილი (ბ. ჩიტაია 70), ჯობაძე (მარღიშვილი 86), ძოძუაშვილი (მასურაშვილი 90), ლ. რაზმაძე, ლ. გოჩაშვილი, გ. ჩიტაია.

**გოლი:** 0-1 ძოძუაშვილი (44)

**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**თბილისი. 13 სექტემბერი. სტადიონი „შევარდენი" 500 მაყურებელი.**

**ვიტ ჯორჯია – სპარტაკი – ლაზიკა 2-0**

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, იმედაშვილი, ინწკირველი, ვ. გოჩაშვილი (ე. მერებაშვილი 72), ლ. ნოზაძე, დიღმელაშვილი, დათუნაიშვილი (კვახაძე 67), დეკანოსიძე, მარცვალაძე, გოცირიძე (ბერელიძე 82).

**სპარ-ლაზ:** მამალაძე, ქვანია, გურეშიძე (სულაქველიძე 55), ებრალიძე, ჩიკვილაძე, იმნაიშვილი, დ. ბოლქვაძე, ქ. ალადაშვილი, კვერენჩხილაძე, გ. თოდუა, ბაკარაძე (ტატანაშვილი 70).

**გოლები:** 1-0 მარცვალაძე (47), 2-0 ინწკირველი (64)

**გააფრთხილეს:** იმნაიშვილი (31), დათუნაიშვილი (36), კობიაშვილი (85), ებრალიძე (85)

**მსაჯი:** ა. შილაკაძე (თბილისი)

## გავიცნობიეროთ რას ნიშნავს ეროვნული ნაკრები

პარასკევს გამართულ პრესკონფერენციაზე სფფ-ს პრეზიდენტმა და ეროვნული ნაკრების დროებითმა თავკაცმა მერაბ ჟორდანიამ ნაკრებში არსებულ ვითარებაზე ილაპარაკა.

— „ის მიზანი, რაც ეროვნულ ნაკრებს ჰქონდა დასახული, სამწუხაროდ, ვერ განვახორციელეთ, გულშემატკივრებს იმედები გავუცრუეთ, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი მათ.

რაც შეეხება ალბანეთში მატჩისას სათადარიგოთა სკამზე მომხდარ ინციდენტს, იგი იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ ნაკრებში მოწვეულ ფეხბურთელთა უმრავლესობას, არა აქვთ გათვითცნობიერებული თუ რას ნიშნავს იყო ეროვნული ნაკრების წევრი, რას ნიშნავს ქვეყნის ღირსების დაცვა. სამწუხაროდ, სამარცხვინო ფაქტი მოხდა, რომელიც გასახდელშიც გაგრძელდა. ყოველივე შეურაცხყოფს, როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ისე გულშემატკივრებს. ფეხბურთელისთვის ნაკრებში გამოძახება პრესტიჟი უნდა იყოს, მატჩამდე მოთამაშეებს ამაზე ვესაუბრეთ, ავუხსენით, რომ მათ ნაკრებში მწვრთნელი კი არა, ქვეყანა უხმობს, თუმცა ყველაფერი, საუბედუროდ, მხოლოდ პიროვნულ ურიერთობამდე დადის, რაც წარუმატებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია".

— „ალბანეთში მატჩი კარგად დავიწყეთ, მაგრამ ტაიმის ბოლოს ქემოკლიძის ტრავმამ უარყოფითად იმოქმედა გუნდზე, დაცვითი ხაზი მოირღვა, ქემოკლიძის ტრავმა წარუმატებლობის ძირითადი არა, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი ნამდვილად იყო. იმის ახსნა, თუ რა მოხდა მეორე ტაიმში, ძნელია. თბილისში გამართულ მატჩში გუნდს დაღლილობა არ ეტყობოდა. ნაკრებში მოწვეულმა ფეხბურთელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ საერთაშორისო, უმნიშვნელოვანეს მატჩს ფიზიკურად მომზადებული უნდა შეხვდეს. არაა გამორიცხული რუსებთან მატჩში ახალი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ ნაკრებში, ვთვლი, რომ ალბანელებთან საპაექროდ გუნდში საუკეთესოებს მოვუხმეთ, თუმცა წარუმატებლობაზე პასუხისმგებლობას არ ვიხსნით, შედეგებზე მსჯელობა სფფ-ს შიდა სამზარეულოში გაგრძელდება. აღსანიშნავია ისიც, რომ, სამწუხაროდ, ფეხბურთელებს უჭირთ გადამწყვეტ მატჩებში სასურველი შედეგის მიღწევა და დასახული მიზნის სათანადოდ შესრულება."

პრესკონფერენციის ბოლოს, შეკითხვაზე მიმდინარეობს თუ არა ნაკრების თავკაცის ძიება, მერაბ ჟორდანიამ უპასუხა — „ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ძიება დიდი ხანია დაწყებულია, დეკემბერში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრის შემდეგ მწვრთნელის ვინაობა გამოცხადდება, კანდიდატებთან მუშაობა და მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ ამჟამად მათ გვარებს ვერ დავასახელებ."

### გათამაშების ცხრილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 7 | 5 | 1 | 1 | 23-3 | 16 |
| ვიტ-ჯორჯია | 7 | 5 | 1 | 1 | 15-4 | 16 |
| სიონი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-5 | 14 |
| დილა | 7 | 4 | 1 | 2 | 10-5 | 13 |
| ტორპედო | 7 | 3 | 2 | 2 | 6-5 | 11 |
| ლოკომოტივი | 7 | 3 | 1 | 3 | 10-9 | 10 |
| კოლხეთი1913 | 7 | 3 | 1 | 3 | 6-6 | 10 |
| თბილისი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-12 | 7 |
| მცხეთა | 7 | 2 | 1 | 4 | 7-16 | 7 |
| დინამო (ბთ) | 7 | 2 | 0 | 5 | 4-10 | 6 |
| მერცხალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-17 | 5 |
| სპარტ.-ლაზ. | 7 | 1 | 1 | 5 | 2-16 | 4 |

**ბომბარდირები:** ახალაია (დინამო თბ) — 8, დავითაშვილი (თბილისი), გოცირიძე (ვიტჯორჯია), მელქაძე (დინამო თბ) — 5-5-5.

**საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!**

# საბჭოთა ფეხბურთელების ფიასკო XV ოლიმპიურ თამაშებზე

იმჟამინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის სპორტმენების საერთაშორისო ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მხოლოდ 1952 წლიდან გახდა შესაძლებელი.

1952 წლის ზაფხულში, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაიხსნა XV ოლიმპიური თამაშები, რომლის მსვლელობის დროს საბჭოეთის წარგზავნილებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს და ტოლი არ დაუდეს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და სხვა ქვეყნების აღიარებულ სპორტსმენებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ საერთო არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა კავშირმა საბოლოოდ პირველობა მოიპოვა.

1952 წელს პირველად შეიქმნა საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები ფეხბურთში, რომლის ძირითადი ბირთვი მოსკოვის არმიელთა გუნდი ცდსა (ცდსა — ცენტრალი დომ სოვეტსკო არმიი) გახდა. ოლიმპიურ თამაშებზე გამგზავრებამდე გარკვეული



ავთანდილ ჭკუასელი

დროის განმავლობაში, სწორეს ეს გუნდი გამოდიოდა ცდსა-ს დროშით და მათ ჩაატარეს საკონტროლო მატჩები ბულგარეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ფინეთის ნაკრებებთან.

საკონტროლო ამხანაგური თამაშების ჩატარების შემდეგ ცდსა-ს დაემატა სხვა კლუბების მოთამაშეები, რომელთა შორის იყვნენ თბილისის დინამოელები — ავთანდილ ღოღობერიძე, ავთანდილ ჭკუასელი, გოგი ანთაძე და ვლადიმერ მარღანია. იმ დროს თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი იყო მიხეილ იაკუშინი, ხოლო ცდსა-ს უფროსი მწვრთნელი — ბორის არკადიევი.

ახალშექმნილი ოლიმპიური ნაკრების უფროს მწვრთნელად დანიშნეს ბორის არკადიევი, ხოლო მწვრთნელად მიხეილ იაკუშინი.

ა. ღოღობერიძემ და ა. ჭკუასელმა საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებში მხოლოდ თითო მატჩში მიიღეს მონაწილეობა. პირველმა ითამაშა ბულგარეთის ნაკრების წინაალმდეგ და ეს შეხვდრა საბჭოთა ფეხბურთელებმა მოიგეს 2-1. თამაში ქ. კოტკაში გაიმართა.

ზუსტად 15 წლის წინ, 1988 წელს, მოსკოვის ჟურნალ „იუნოსტში" №8 გამოქვეყნდა სტანისლავ ტოკარევისა და ალექსანდრე გორბუნოვის სტატია — „იყო ცდკა-ს გუნდი". აღნიშნული სტატიის მოკლე შინაარსის გადმოცემამდე, საჭიროა კორექტირება მოვახდინოთ, — ცდკა-ს ნაცვლად უნდა იყოს ცდსა, რადგან იმ დროს წითელი არმია უკვე საბჭოთა არმიად იწოდებოდა.

მოგვყავს სტატიის მოკლე შინაარსი ჩვენი კომენტარებით:

იუგოსლავიის მაშინდელ პრეზიდენტს ტიტოს, რომელიც მანამდე (ე.ი. ოლიმპიურ თამაშებამდე) ჩვენს მეგობრად ითვლებოდა, 50-იან წლებში უკვე დოლარებისა და ფუნტი სტერლინგებისაკენ ეჭირა თვალი, რომ ჰელსინკში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, მაშინდელმა საკავშირო კომკავშირის ცკ-ას პირველმა მდივანმა ნ. მიხაილოვმა შეკრიბა გუნდი და აცნობა, რომ არის აზრი დაიწეროს წერილი ამხანაგ სტალინისადმი საზეიმო დაპირებით, რომ უსათუოდ გახდებოდნენ ჩემპიონები.

ოლიმპიური ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბორის არკადიევმა უპასუხა, რომ „... საკითხის ასეთი დაყენება არაკორექტულია, სპორტი არის სპორტი, რომ შეუძლებელია ასეთი ტურნირის პერიპეტიები და შედეგი განსაზღვრო".

საბჭოთა ნაკრების იუგოსლავიის ნაკრებთან მერვედფინალში შეხვედრის წინ, საბჭოთა ოლიმპიური დელეგაციის ხელმძღვანელებს, — სსრკ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ნ. რომანოვს, მის მოადგილეებს კ. ანდრიანოვსა და მ. პესლიაკს, საკავშირო კომკავშირის ცკ-ს მდივნებს ა. შელეპინსა და ვ. სემიჩასტნის აუტყდათ სატკივარი. ისინი ნერვიულობდნენ, ვაითუ წავაგოთ და მერე ვისთან „ტიტო — რანკოვიჩ — კარდელის ხროვის" (ასე იწოდებოდა საბჭოთა კავშირში იმჟამინდელი იუგოსლავიის ხელმძღვანელები — გ. ჩ.) გუნდთან?! ერთი პირობა პოლიტიკური მოტივებით უნდოდათ თამაშზე უარი ეთქვათ, მაგრამ მოსკოვში დარეკვის შემდეგ მიიღეს კატეგორიული მითითება — „ითამაშეთ და მოიგეთ"!.

თამაშის მიმდინარეობისას თითქმის გულშემატკივართა უმრავლესობა მხარს უჭერდა იუგოსლავიის ფეხბურთელებს, ხოლო საბჭოთა გუნდს მხოლოდ იგორ მოისეევის ცეკვის ანსამბლი და პოლონეთის გემ „ბატორიის" ეკიპაჟი, რომელსაც იმ დროს ჰელსინკის პორტში ჰქონდა ღუზა ჩაშვებული.

თამაშის პირველი ტაიმი საბჭოთა ნაკრებმა 0-3 წააგო, შემდეგ ანგარიში 0-4, 1-4, 1-5, 2-5, 3-5, 4-5 და საბოლოოდ 5-5 გახდა. ამ თამაშში ვსევოლოდ ბობროვმა სამი ბურთი გაიტანა, ხოლო ა. პეტროვმა და ვ. ტროფიმოვმა თითო, როგორც წესი, დაინიშნა გადათამაშება. ფ. მარიუტინი შეცვალა ავთანდილ ჭკუასელმა, რომელიც საბჭოთა ფეხბურთელებს შორის ყველაზე ახალგაზრდა - 19 წლისა იყო. ეს თამაში ჩვენმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1-3 წააგეს. ამ წაგებას ს. ტოკარევი და ა. გორბუნოვი მთლიანად აბრალებდნენ ავთანდილ ჭკუასელს.

რატომ? თურმე ის ძალზე ახალგაზრდა იყო, რომ მას არასოდეს ჰქონდა ნათამაშები ნაკრების ძირითად შემადგენლობაში, რომ ეს იყო მისი



1952 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი უნგრეთის ნაკრები

პირველი საერთაშორისო მატჩი და ა.შ. მაგრამ ყველაზე მთავარი თურმე ის ყოფილა, რომ ა. ჭკუასელს კარგად არ ესმოდა რუსული ენა, რომ ბ. არკადიევი თურმე ა. ჭკუასელს არავითარ შენიშვნებსა და რჩევებს არ აძლევდა, რომ მხოლოდ მ. იაკუშინი აძლევდა მითითებებს ა. ჭკუასელს რუსულად, ხოლო გოგი ანთაძე და საკავშირო კომკავშირის ცკ-ს თანამშრომელი, ვინმე გრიგორიანი თარგმნიდნენ მ. იაკუშინის სიტყვებს ქართულად და შემდეგ მინდორზე უყვიროდნენ ავთანდილ ჭკუასელს, ხოლო მას არაფერი ესმოდა მათი და დარბოდა იქ, სადაც საჭირო არ იყო, პარტნიორებს ბურთს არ გადასცემდა და ა.შ..

ნაკრებში გამოსვლამდე ა. ჭკუასელს რამდენიმე მატჩი ჰქონდა ჩატარებული, თანაც დიდი წარმატებით, პოლონეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნის გუნდებთან. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია მისი ბრწყინვალე თამაში სოფიის ნაკრებთან, იგივე ბულგარეთის ნაკრებთან ჯგუფ თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ მოსკოვის „დინამოში". ორივე ეს მატჩი, ოლიმპიური თამაშების — დაწყებამდე, მოსკოვში ჩატარდა.

ასევე შეცდომაა სტატის ავტორების აზრი, რომ ავთანდილ ჭკუასელმა რუსული არ იცოდა. თბილისში დაბადებულს, გაზრდილს და ცნობილ 35-ე სკოლის კურსდამთავრებულს, შეიძლებოდა რუსული არ სცოდნოდა?

ს. ტოკარევს და ა. გორბუნოვს ასეთი მონაჩმახი მოჰყავთ: თუ ამ თამაშს საბჭოთა ფეხბურთელები მოიგებდნენ, იმის გამო, რომ ჭკუასელი ქართველი იყო, ამით მ. იაკუშინი ასიამოვნებდა საკავშირო სპორტსაზოგადოება „დინამოს" ყოვლისშემძლე პატრონს ლავრენტი ბერიას, ანდა თვით დიდ სტალინს. აი, ასე და ამგვარად გამოიყვანეს ავთანდილ ჭკუასელი „განტევების ვაცად" და ნაკრების წაგება მას დააბრალეს. მთავარი კი ის იყო, რომ იმ დროს ფეხბურთში საბჭოთა ნაკრები გაცილებით, სუსტი იყო, ვიდრე უნგრეთის, იუგოსლავიის და სხვა ნაკრებები.

მოდით, თავი დავანებოთ სტატიის ავტორების ცილისწამებლურ და შოვინისტურ გამოხდომებს და ჩვენ ჩვენი ვთქვათ. იმ ავადსახსენებელ მატჩში ავთანდილ ჭკუასელს იუგოსლავიის ნაკრების მარჯვენა მცველ ბრანკო სტანკოვიჩის წინააღმდეგ მოუწია თამაში. საერთოდ, სტანკოვიჩი ელეგანტური და აქტიური თამაშით გამოირჩეოდა და, რაც მთავარია, იგი აქტიურად ებმებოდა შეტევებში და ეხმარებოდა თავის თავდამსხმელებს. ავთანდილ ჭკუასელმა მას დაუპირისპირა უმაღლესი ტექნიკის დრიბლინგი, რითაც იგი სწრაფად და თავისუფლად გადიოდა მარცხენა ფრთის ნაპირზე და ბურთს გადასცემდა თავის იმ პარტნიორს, რომელიც უფრო კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი გადაცემიდან გოლები კი უნდა გაეტანათ ისეთ ცნობილ ბომბარდირებს, როგორებიც იყვნენ — ბობროვი, ბესკოვი, ნიკოლაევი და ტროფიმოვი. მაგრამ ყველანი იმჟამად გადაღლილები ჩანდნენ და ვერ იმორჩილებდნენ ბურთს. თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ მათი ასაკი 30 წელი და მეტი იყო.

მთელი თამაშის განმავლობაში იუგოსლაველი ბრანკო სტანკოვიჩი არ მოშორებია ავთანდ ჭკუასელს, რომელმაც მთლიანად შეასრულა უფროსი მწვრთნელის ბორის არკადიევის დავალება, მან სრულად გამოთიშა თამაშიდან და შეზღუდა თავდასხმაში აქტიური მონაწილეობისაგან იუგოსლავიის ერთ-ერთი უძლიერესი მცველი.

ასე, რომ, ა. ჭკუასელის გამოყვანით არავის უფიქრია, რომ სტალინისა და ბერიას მიმართ მლიქვნელობით რაიმე ნდობა მოეპოვებინა.

თამაშის დამთავრების შემდეგ, იუგოსლავიის ნაკრების ფეხბურთელები სტადიონის გასწვრივ სარბენ ბილიკზე გამწკრივდნენ და დაიწყეს სკანდირება: „გაუმარჯოს ტიტოს!", „გაუმარჯოს ტიტოს!" მათ აჰყვა სტადიონის მაყურებელთა უმრავლესობა და ეს შეძახილები დიდხანს გაისმოდა. თუ რა გუნებაზე დადგებოდა საბჭოთა სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელობა, ალბათ, ამის შესახებ რაიმე კომენტარების გაკეთება ზედმეტია.

ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ უნგრეთისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები, რომელიც დამთავრდა ფერენც პუშკაშის გუნდის გამარჯვებით 2-0. უნგრელებმა მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობა და ოქროს მედლები. უნგრელმა ფეხბურთელებმა გამარჯვების აღსანიშნავად მწვანე მინდორს შემოურბინეს, შეძახილებით: „Elien Stalin!", „Elien Stalin!" („გაუმარჯოს სტალინს", „გაუმარჯოს სტალინს!").

უნგრელების მხრიდან ასეთი საპატივცემულო და თაყვანის გამომხატველი ჟესტის მიუხედავათ, საბჭოთა ნაკრებს ვერაფერმა უშველა. გუნდის მიერ საწყენი წაგების შემდეგ, ამბები სრულიად მოულოდნელი სცენარით განვითარდა, — არმიელთა გუნდი ცდსა დაშალეს, ხოლო არმიელთა გუნდისა და საბჭოთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ბორის არკადიევს ჩამოართვეს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება და დისკვალიფიკაცია მისცეს.

ცდსა-ს გუნდი ორი წლის შემდეგ, 1954 წელს აღადგინეს და დაუშვეს საკავშირო პირველობის „ა" კლასში.

1952 წლის შემდეგ დაამთავრეს თავიანთი გამოსვლები საფეხბურთო მინდვრებზე ვსევოლოდ ბობროვმა, ვალენტინ ნიკოლაევმა, კონსტანტინ ბესკოვმა, ვასილი ტროფიმოვმა და ნაკრების სხვა წევრებმა, ხოლო რაც შეეხება ავთანდილ ღოღობერიძესა და ავთანდილ ჭკუასელს, მათ თბილისის „დინამოში" კიდევ დიდხანს ითამაშეს და ორივემ ბრწყინვალედ ჩაატარა თამაშები 1956 წლის საკავშირო სპარტაკიადაზე. ისინი ღირსი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ მელბურნის XVI ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც იმავე 1956 წელს გაიმართა.

**გურამ ჩხიკვაძე.**

## დღეს ჩემპიონთა ლიგა იწყება

**დღეს და ხვალ გაიმართება ევროპის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩები. შეგახსენებთ ჯგუფების შემადგენლობას და გთავაზობთ პირველი ტურის მატჩების განრიგს, ევროპული ტოტალიზატორ „უილიამს — ჰილის" კოეფიციენტებითურთ.**

**A ჯგუფი**
ბავარია (გერმანია)
ლიონი (საფრანგეთი)
სელტიკი (შოტლანდია)
ანდერლეხტი (ბელგია)

**B ჯგუფი**
არსენალი (ინგლისი)
ინტერი (იტალია)
დინამო კ. (უკრაინა)
ლოკომოტივი მ. (რუსეთი)

**C ჯგუფი**
დეპორტივო (ესპანეთი)
პსვ (ჰოლანდია)
აეკი (საბერძნეთი)
მონაკო (საფრანგეთი)

**D ჯგუფი**
იუვენტუსი (იტალია)
გალათასარაი (თურქეთი)
ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
სოსიედადი (ესპანეთი)

**E ჯგუფი**
მანჩესტერი (ინგლისი)
პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
რეინჯერსი (შოტლანდია)
შტუტგარტი (გერმანია)

**F ჯგუფი**
რეალი (ესპანეთი)
პორტო (პორტუგალია)
მარსელი (საფრანგეთი)
პარტიზანი (სერბეთი)

**G ჯგუფი**
ლაციო (იტალია)
ჩელსი (ინგლისი)
სპარტა (ჩეხეთი)
ბეშიქთაში (თურქეთი)

**H ჯგუფი**
მილანი (იტალია)
სელტა (ესპანეთი)
აიაქსი (ჰოლანდია)
ბრიუგე (ბელგია)

**16 სექტემბერი**

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტ. იუნ. — პანათინაიკოსი | 1.28 | 4.50 | 8.00 |
| რეინჯერსი — შტუტგარტი | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| პარტიზანი — პორტო | 2.60 | 3.10 | 2.40 |
| რეალი — მარსელი | 1.36 | 3.75 | 8.00 |
| ბეშიქთაში — ლაციო | 2.62 | 2.90 | 2.50 |
| სპარტა — ჩელსი | 3.00 | 3.20 | 2.10 |
| მილანი — აიაქსი | 1.53 | 3.25 | 6.00 |
| ბრიუგე — სელტა | 2.37 | 3.10 | 2.62 |

**17 სექტემბერი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — სელტიკი | 1.50 | 3.60 | 5.50 |
| ლიონი — ანდერლეხტი | 1.61 | 3.30 | 5.00 |
| არსენალი — ინტერი | 2 00 | 3.00 | 3.40 |
| დინამო (კ) — ლოკომოტივი(მ) | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| აეკ — დეპორტივო | 2.62 | 3.10 | 2.37 |
| ეინდჰოვენი — მონაკო | 1.83 | 3.20 | 3.75 |
| იუვენტუსი — გალათასარაი | 1.40 | 3.60 | 7.50 |
| სოსიედადი — ოლიმპიაკოსი | 1.61 | 3.30 | 5.00 |

## ფეხბურთი ჩასიბშის გარეშე

### საქართველოს XV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
### V ტური
### პირველი ლიგა

ამერი — ლოკომოტივი (სამტრ) 0-2
ჩიხურა — თესეუ 3-1
გორდა — ქობულეთი 1-0
მილანი — ცხინვალი 0-0
მეტალურგი — ივერია 0-1
სამგურალი — ლუკა 1-0
ვიტ ჯორჯ.(მცხ.) — დინამო2(თბ) 2-2
ოლიმპი — გურია 2-0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-4 | 13 |
| გორდა | 5 | 4 | 0 | 1 | 9-6 | 12 |
| სამგურალი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| თსუ | 5 | 3 | 1 | 1 | 9-5 | 10 |
| ქობულეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-4 | 9 |
| ცხინვალი | 4 | 2 | 2 | 0 | 5-1 | 8 |
| დინამო2(თბ) | 5 | 2 | 1 | 2 | 10-9 | 7 |
| ივერია | 5 | 2 | 1 | 2 | 4-7 | 7 |
| ლოკ.(სამტრ) | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| გურია | 5 | 2 | 0 | 3 | 4-6 | 6 |
| ლუკა | 5 | 2 | 0 | 3 | 3-5 | 6 |
| ვიტ ჯორჯია | 5 | 1 | 2 | 2 | 4-5 | 5 |
| მილანი | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 5 |
| ჩიხურა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |
| ამერი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 |
| მეტალურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 2-8 | 0 |

## რეგიონული ლიგა

**აღმოსავლეთის ზონა**

**I ტური. 3-4-5 სექტემბერი**

თ.ს. აკადემია (თბილისი) — სიონი (თბილისი) 6-0
ჰერეთი(ლაგოდეხი) — სიონი 2 (ბოლნისი) გადაიდო
ნორჩი დინამო (თბილისი) — იბერია (თბილისი) 3-0
ერთობა (ახმეტა) — კახეთი (თელავი) 0-3
ავაზა (თბილისი) — ცხუმი (სოხუმი) 1-0
დინამო (სოხუმი) — ლოკომოტივი 3 (თბილისი) 0-3
თბილისი — ნორჩი დინამო 2 (თბილისი) 2-0

**II ტური. 11-12 სექტემბერი**

ცხუმი — თ.ს. აკადემია 3-1
ლოკომოტივი 3 — სიონი (თბ)3-0
კახეთი — ავაზა 4-0
ნორჩი დინამო 2 — ერთობა 0-2
იბერია — თბილისი 1-0
სიონი 2 (ბოლნ) — ნორჩ.დინ. 1-1
დინამო (სოხ) — ჰერეთი 1-0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| კახეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7-0 | 6 |
| ლოკომ. 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 6-0 | 6 |
| ნორჩ. დინ. | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| აკადემია | 2 | 1 | 0 | 1 | 7-3 | 3 |
| ცხუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| თბილისი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| ერთობა | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| დინ. (სოხ) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| იბერია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-3 | 3 |
| ავაზა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-4 | 3 |
| სიონი2(ბოლნ) | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| ჰერეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| ნორჩ. დინ-2 | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |
| სიონი (თბ) | 2 | 0 | 0 | 2 | 0-9 | 0 |

**.ცენტრალური ზონა.**

**III ტური, 10-11 სექტემბერი**

ურიონი — განთიადი 2-0
ლიახვი — ზოვეტი 0-1
ტონთიო (ისვენებს)
პრემა — სამგორი 1-2
მესხეთი — თორი 2-4
ასა — ირაო (ვაკე) 2-1
მერანი — დინამო 1-1
ყაზბეგი — ზარზმა 5-1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურიონი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-0 | 9 |
| თორი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| სამგორი | 3 | 3 | 0 | 0 | 6-3 | 9 |
| დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 7-3 | 5 |
| მერანი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-2 | 5 |
| ყაზბეგი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| ზოოვეტი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| ასა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-5 | 4 |
| პრემა | 3 | 1 | 0 | 2 | 4-3 | 3 |
| ირაო-ვაკე | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| მესხეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |
| განთიადი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |
| ლიახვი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| ტონთიო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| ზარზმა | 2 | 0 | 0 | 2 | 1-10 | 0 |

საქართველოში ჩასიბში არ ყოფილა
და არც არასოდეს გამოჩნდება!

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „მილანი" ფონს შევჩენკოს გოლებით გადის

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები, რომელთა ბევრი შედეგი საზოგადოებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

**გერმანიის ბუნდესლიგის** მეხუთე ტურში პირველად დამარცხდა ქვეყნის ჩემპიონი მიუნხენის „ბაიერნი". „ვოლფსბურგთან" სტუმრად გამართულ შეხვედრაში მიუნხენელები პირველი ტაიმის შემდეგ 0-1 აგებდნენ. მე-60 წუთისათვის შვაინშტაიგერმა და მაკაიმ წინ გაიყვანეს „ბაიერნი" და ამ გუნდის გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ მასპინძლებმა ბოლო ათ წუთში შეძლეს ორი გოლის გატანა მიუნხენელთა კარში და სამი ქულის მოპოვება.

ლევერკუზენის „ბაიერმა" საკუთარ მოედანზე — ფუანის ერთადერთი გოლის წყალობით სძლია „ჰამბურგს". საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელს და „ჰერტას" დღემდე ერთი გამარჯვებაც არ აქვთ მოპოვებული. ფრედ 0-0 დასრულდა შეხვედრა „შალკესა" და „შტუტგარტს" შორის. მასპინძელთა რიგებში ითამაშა კობიაშვილმა, რომელიც 76-ე წუთზე ვერმანტით შეცვალეს.

ასევე ფრე დაფიქსირდა „კაიზერსლაუტერნი" — „ფრაიბურგის" შეხვედრაში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ოთხი გოლი გავიდა. 21-ე წუთზე კულიბალმა დააწინაურა „ფრაიბურგი", თუმცა ამ უპირატესობით იაშვილის და ცქიტიშვილის გუნდმა 10 წუთი გაძლო: ხრისტოვმა წონასწორობა აღადგინა. 3 წუთის შემდეგ ცაიერმა ისევ გაუტანა მასპინძლებს, მაგრამ 38-ე წუთზე ისევ ხრისტოვმა გადაურჩინა ქულა „კაიზერსლაუტერნს".

**დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა:**

„ჰანზა" — „ბოხუმი" 0-2, „მიუნხენი" — „კიოლნი" 2-1, „ბორუსია" (დორტ.) — „ვერდერი" 2-1, „ჰერტა" — „ჰანოვერი" 2-3, „მიონხენგლადბახი" — „აინტრახტი" 0-2.

სატურნირო ცხრილის სათავეში 12 ქულით ლევერკუზენის „ბაიერია", რომელსაც 1 ქულით ჩამორჩება „შტუტგარტი".

**ინგლისის პრემიერლიგის** მეხუთე ტურში საკუთარ მოედანზე „პორტსმუტთან" ქულები დაკარგა „არსენალმა". ლონდონელები შერინგემის გოლის შემდეგ 0-1 აგებდნენ და ვინ იცის, იქნებ ეს მატჩი ასეთი ანგარიშით დასრულებულიყო, არბიტრს „წყალობა" რომ არ გაელო და „პორტსმუტის" კარში თერთმეტმეტრიანი არ დაენიშნა. პენალტი ანრიმ ზუსტად შეასრულა და მატჩშიც ფრე (1-1) დაფიქსირდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „მანჩესტერ იუნაიტედმა" სტუმრად 2-0 დაამარცხა „ჩარლტონი". ორივე გოლი მეტოქის კარში ვან ნისტელროიმ გაიტანა.

მოულოდნელად დაიწყო შეხვედრა „ჩელსისა" და „ტოტენჰემს" შორის. სტუმრები 25-ე წუთზე კანუტის გოლით დაწინაურდნენ. ლონდონელები მალევე მოვიდნენ გონს. 35-ე წუთზე ჯერ ლამპარდმა აღადგინა წონასწორობა, ხოლო 2 წუთის შემდეგ მუტუმ წინ გაიყვანა „ჩელსი". მანვე 75-ე წუთზე კიდევ ერთხელ აიღო „ტოტენჰემის" კარი, რასაც კანუტის ერთი საპასუხო გოლიც მოჰყვა. მატჩს საბოლოო წერტილი ჰასელბენკის გოლმა დაუსვა (4-2).



როგორც ჩანს, წელს „ლივერპული" კარგ ფორმაშია. ამ გუნდმა მეხუთე ტურში სტუმრად 3-1 დაამარცხა „ბლექბერნი". ორი გოლი ოუენის ანგარიშზეა, ხოლო ერთი — კიუელის.

**დანარჩენი მატჩები:** „ევერტონი" — „ნიუკასლი" 2-2, „ბოლტონი" — „მიდლსბრო" 2-0, „საუთჰემპტონი" — „ვულვზი" 2-0, „მანჩესტერ სიტი" — „ასტონ ვილა" 4-1, „ბირმინგემი" — „ფულემი" 2-2.

სატურნირო ცხრილს 13 ქულით კვლავ „არსენალი" ლიდერობს, 12 ქულით მეორე ადგილზეა „მანჩესტერ იუნაიტედი", ხოლო 10-10 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფენ „მანჩესტერ სიტი" და „ჩელსი".

**ესპანეთის პრიმერადივიზიონის** მესამე ტურში ფავორიტებმა გაიმარჯვეს. მადრიდის „რეალმა" შვიდი გოლი გაიტანა „ვალიადოლიდის" კარში, პასუხად კი ორი მიიღო. სამი გოლი რაულის ანგარიშზეა. გარდა ამისა, „რეალის" შემადგენლობაში თავი გამოიჩინეს ჟულიო სეზარმა, ზიდანმა, ფიგუმ და რონალდომ.

„ბარსელონამ" სტუმრად 2-1 სძლია „ალბასეტეს", ასეთივე ანგარიშით „დეპორტივომ" დაამარცხა „სევილია". „რეალ სოსიედადმა" დე პაულას ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად მოუგო „რასინგს".

**დანარჩენი მატჩები:** „სელტა" - „ბეტისი" 0-2, „ოსასუნა" — „ატლეტიკო" 1-0, „ბილბაო" — „მალიორკა" 4-0, „ესპანიოლი" — „ვილიარეალი" 1-2, „ვალენსია" — „მალაგა" 1-0, „სარაგოსა" — „მურსია" 3-0. სამი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი (9) აქვს „დეპორტივოს", 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილებს იყოფენ „რეალი" და „ვალენსია".



**იტალიის სერია „ა"-ში** : ტურის შემდეგ ხუთივე ფავორიტი — „რომა", „ლაციო", „მილანი", „ინტერი" და „იუვენტუსი" ჯერჯერობით მხოლოდ გამარჯვებებით მიიწევენ წინ.

„მილანმა" 2-1 დაამარცხა „ბოლონია". ერთი გოლი მასპინძელთაგან შევჩენკომ გაიტანა, ერთიც — ფილიპო ინძაგიმ. ასეთივე ანგარიშით „იუვენტუსმა" სტუმრად მოუგო „კიევოს". „ინტერმა" 1-0 სძლია „სიენას" და ეს ერთადერთი გოლი მატჩის 28-ე წუთზე ჩირილომ შეაგორა საკუთარ კარში. „რომამ" საკუთარ მოედანზე 5 უპასუხო გოლი გაუტანა „ბრეშას". რაც შეეხება „ლაციოს", ამ უკანასკნელმა სტუმრად 2-1 სძლია სერია „ა"-ში დაბრუნებულ „სამპდორიას".



**დანარჩენი „მატჩები":** „პარმა" — „პერუჯა" 3-0, „მოდენა" — „უდინეზე" 0-1, „ემპოლი" — „რეჯინა" 1-1, „ლეჩე" — „ანკონა" 3-1.

**საფრანგეთის ჩემპიონატის** მეექვსე ტურში „მარსელმა" 5-0 გაანადგურა „ლე-მანი" და 15 ქულით ინარჩუნებს ერთპიროვნული ლიდერის პოზიციას სატურნირო ცხრილში. მას 2 ქულით ჩამორჩება „მონაკო", რომელმაც სტუმრად ქულები დაკარგა „ლილისთან" (1-1).

**დანარჩენი მატჩები:** „ლიონი" — „ოსერი" 1-1, „ბასტია" — „გინგამი" 4-2, „ბორდო" — „სოშო" 1-3, „მეცი" — „მონპელიე" 2-1, „ნიცა" — „ნანტი" 1-0, „რენი" — „ლანსი" 2-0, „სტრასბური" — „აიაჩო" 3-2, „პსჟ" — „ტულუზა" 2-1.

**ჰოლანდიის ჩემპიონატის** მორიგ ტურში მოულოდნელი მხოლოდ ის მოხდა, რომ „ფეიენოორდმა" კვლავ ვერ მოიგო, — ამჯერად სტუმრად, „ალკმაართან" ფრედ დასრულა შეხვედრა (2-2). დაგეგმილი სამ-სამი ქულა მოიპოვეს „აიაქსმა" და „პსვ „ეინდჰოვენმა", რომლებმაც დაამარცხეს შესაბამისად „ვაალვაიკი" (4-1) და „უტრეხტი" (2-1).

**დანარჩენი მატჩები:** „დენ ჰააგი" — „ვოლენდამი" 1-1, „ცვოლე" — „როდა" 0-0, „როზენდალი" — „ვიტესი" 1-1, „ჰეერენვენი" — „გრონინგენი" 1-0, „ბრედა" — „ვილემი" 1-1, „ნაიმეგენი" — „ტვენტე" 2-1.

12 ქულით პირველ ადგილზეა „აიაქსი", რომელიც 2 ქულით უსწრებს პსვ-ს.

**შოტლანდიის პრემიერლიგის** მეხუთე ტურში შოთა არველაძის „რეინჯერსმა" 4-0 მოუგო „დანფერმლაინს". ერთი გოლი ქართველი ფორვარდის ანგარიშზეა.

„სელტიკმა" მინიმალური ანგარიშით (1-0) სძლია სტუმრად „დანდის". „რეინჯერსს" ქულათა მაქსიმუმი აქვს — 15, ხოლო „სელტიკს" — 13.

**რუსეთის ჩემპიონატის** 24-ე ტურში ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიამ" ფრეს მიაღწია ერთ-ერთ ლიდერთან — „სატურნთან" შეხვედრაში (2-2). მოსკოვის „დინამომ" 2-0 დაამარცხა „ურალანი", ხოლო „რუბინმა" 1-0 მოუგო „შინიკს". „დინამოსაც" და „რუბინსაც" 43-43 ქულა აქვთ და 5 ქულითღა ჩამორჩებიან გაზაევის ცსკას.

**დანარჩენი მატჩები:** „სპარტაკი" — „ტორპედო" 1-0, „როტორი" — „ზენიტი" 1-4, „ჩერნომორეცი" — „მეტალურგი" 1-2, „როსტოვი" — „კრილია" 2-1.

## დევიდ ბექჰემი საკუთარ თავზე



ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავმა დევიდ ბექჰემმა განაცხადა, რომ მის ხელთ არსებული სიმდიდრე ეკუთვნის მხოლოდ ორ ადამიანს.

„ესენი ჩემთვის უძვირფასესი ადამიანები არიან — ჩემი მშობლები, — თქვა ბექჰემმა თავისი ავტობიოგრაფიული წიგნის — „დევიდ ბექჰემი: ჩემს შესახებ" პრეზენტაციაზე. ავტობიოგრაფიის იმ თავში გამიჭირდა წერა, სადაც ჩემი მშობლების გაყრაზეა საუბარი. ცხოვრებაში ბევრი რამ გადამხდენია, მაგრამ ის იყო ერთადერთი უმძიმესი მომენტი, როცა საკუთარი თავის კონტროლი დავკარგე და არ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა".

თავის წიგნში ბექჰემმა ბევრი საინტერესო მოგონება ჩაწერა; მათ შორის, გაიხსენა მისი გაძევება მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩში არგენტინელებთან, როცა ინგლისელ გულშემატკივართა რისხვა დაიმსახურა, თუმცა შემდგომში ბექჰემი კვლავ ფანატთა კერპი გახდა.

ცნობილია, რომ მას შემდეგ, რაც დევიდ ბექჰემი მადრიდის „რეალში" გადავიდა, ამ ფეხბურთელისადმი ინტერესი გაიზარდა და ცხადია, ფანატთა ცნობისმოყვარეობის ნაწილობრივ. მაინც დაკმაყოფილებაში ფეხბურთელს ეს ავტობიოგრაფიული წიგნიც დაეხმარება, რომელიც ერთი მილიონი ტირაჟით გამოსცა. დევიდს თანაავტორად სპორტული ჟურნალისტი ტომ უოტი აურჩევია. წიგნი „დევიდ ბექჰემი: ჩემს შესახებ" მსოფლიოს 50 ქვეყანაში გაიყიდება. ასე მაგალითად, წიგნის რეალიზაცია ნიუ-იორკში 25 სექტემბრიდან დაიწყება.

„არავითარი ფინანსური ინტერესები არ გამაჩნია. ეს წიგნი გამოვეცი მხოლოდ იმისათვის, რომ ფეხბურთის გულშემატკივრების ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილო. ამ წიგნში მხოლოდ სიმართლე სწერია", — განაცხადა ბექჰემმა, რომელმაც არ დამალა, რომ ეს მისი საყვარელი წიგნია, მეორე საყვარელ გამოცემად კი დაასახელა წიგნი, თავისი მეუღლის „სფაიზ გერლზის" ყოფილი წევრის, ვიქტორია ადამსის შესახებ.

## „ბაიერნი" ნაკრებში მოთამაშეებს არ გაუშვებს



**გერმანიის ჩემპიონის მიუნხენის „ბაიერნის" პრეზიდენტმა კარლ ჰაინც რუმენიგემ ჟურნალ „კიკერისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აპირებს თავისი გუნდის ფეხბურთელებს აუკრძალოს მონაწილეობა თავთავიანთი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა მატჩებში. „ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ფეხბურთელების გაშვებისა და ვაპირებთ გაფიცვის გამოცხადებას იმ შემთხვევაში, თუ ვერ მივაღწევთ მიზანს. ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მიხაელ ბალაკმა ტრავმა მიიღო, რის გამოც სერიოზული დანაკლისით ვხვდებით ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩს", — ამბობს რუმენიგე.**

## აბრამოვიჩი 14 წლის ფეხბურთელით დაინტერესდა

ლონდონის „ჩელსის" ხელმძღვანელობა დაინტერესდა 14 წლის ამერიკელი ფეხბურთელით ფრედი ადუთი, რომელზედაც ასევე პრეტენზიას აცხადებენ „მანჩესტერ იუნაიტედი", მადრიდის „რეალი" და მილანის „ინტერი". რომან აბრამოვიჩი ცდილობს აჯობოს თავის კონკურენტებს და ადუს გადასაბირებლად ფულს არ იშურებს. რუსმა ოლიგარქმა ფრედი ადუს შესთავაზა ოთხწლიანი კონტრაქტი 3 მილიონი ფუნტის ოდენობით.

ახლა ორიოდე სიტყვა ფრედი ადუს შესახებ. ის მსოფლიო ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. 13 წლისა უკვე თამაშობდა აშშ-ს ახალგაზრდულ (17 წლამდელთა) ნაკრებში.

## პატრიკ ვიეირა: „არასოდეს თქვა „ არასოდეს"

**ცნობილია, რომ ლონდონის „არსენალის" ნახევარმცველმა პატრიკ ვიეირამ ამ გუნდთან კონტრაქტს 2007 წლამდე მოაწერა ხელი, თუმცა თავად არ გამორიცხავს „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლას. „პრესაში წავიკითხე, რომ ალექს ფერგიუსონის გუნდი ჩემით დაინტერესებულია. „არსენალში" თავს კარგად ვგრძნობ, თუმცა თუკი „მანჩესტერ იუნაიტედში" მიმიწვევენ, უარზე ნამდვილად არ დავდგები: გაგიგიათ, ალბათ ცნობილი გამოთქმა: „არასოდეს თქვა „ არასოდეს" — ამბობს ვიეირა.**

## ჯონ კარიუ: „რომა" „სკუდეტოს" პრეტენდენტია




სერია „ა"-ს მეორე ტურში „ბრეშასთან" მატჩის წინ „რომას" ხელმძღვანელობამ პრესას წარუდგინა გუნდის ახალი თავდამხსნელი ჯონ კარიუ.

„მოხარული ვარ, რომ ამიერიდან „რომას" ღირსებას დავიცავ. ჩემი მხრივ ყველაფერს გავაკეთებ მაღალი შედეგიანობის საჩვენებლად და მინდა გუნდის ხელმძღვანელობის ნდობა გავამართლო. „რომამ" წელს წარმატებით აიღო სტარტი სერია „ა"-ში და ვფიქრობ, რომ ის „სკუდეტოს" ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტია, — მთავარია, კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე წარმატებით მიგვეყვანოს," — განაცხადა კარიუმ ჟურნალისტებთან საუბარში.

## შირერი ფეხბურთიდან 2005 წელს წავა



**„ნიუკასლის" კაპიტანმა ალან შირერმა თავისი კონტრაქტი ამ გუნდთან 2005 წლამდე გააგრძელა. შეგახსენებთ, რომ „ნიუკასლში" შირერი 1996 წელს „ბლექბერნიდან" გადავიდა. სატრანსფერო თანხამ იმ დროისათვის რეკორდული ციფრი — 18 მილიონი დოლარი შეადგინა.**

**ამჟამად შირერი 33 წლისაა და ამბობს, რომ 2005 წელს კონტრაქტს აღარ გააგრძელებს.**

**„ეს ჩემი ბოლო კონტრაქტია, კარიერას „ნიუკასლში" დავასრულებ, — განაცხადა ალან შირერმა, რომელსაც ინგლისის ნაკრების ღირსება 63 შეხვედრაში დაუცავს და 30-ჯერ დაულაშქრავს მეტოქეთა კარი. არ ვიცი, რა საქმიანობას დავიწყებ 2005 წლიდან. მწვრთნელობაზე ვერაფერს ვიტყვი. „ნიუკასლში" ასეთი წინადადებით არავის მოუმართავს".**

# „ფერარის“ ახალმა საბურავებმა უშველეს



იტალიის „გრან-პრიმდე“ „ფორმულა-1“-ის წლევანდელი სეზონის საერთო ჩათვლაში ისეთი მდგომარეობა იყო, წარუმატებლობის შემთხვევაში „ფერარი“ ლიდერობას დაკარგავდა.

„ფერარის“ პილოტებს მიხაელ შუმახერს და რუბენს ბარიკელოს უკან დასახევი გზა პრაქტიკულად მოჭრილი ჰქონდათ. მათ აუცილებლად უნდა გაემარჯვათ მონცას ტრასაზე, რომელსაც „ფერარის“ საშინაო არენად თვლიან.

ძირითადი ბრძოლა მიხაელ შუმახერსა და ხუან პაბლო მონტოიას შორის გაიმართა. ყველაფერი გადაწყვიტა საბურავებმა, რომლებიც „ფერარის“ უფრო უკეთესი აღმოაჩნდა. მიხაელ შუმახერმა რიგით 69-ე გრან-პრი მოიგო. გამარჯვებულის დრო 1 საათი, 14 წუთი და 19,838 წამია.

მეორე ადგილზე გასული „უილიამსის“ პილოტი ხუან პაბლო მონტოა გერმანელს 6 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზე გავიდა „ფერარის“ მეორე პილოტი რუბენს ბარიკელო.

საინტერესოა, რომ ფინიშამდე ვერ მიაღწია დევიდ კულტჰარდმა („მაკლარენი“). იგი 46-ე წრეზე ტრასიდან გადავიდა.

საერთო ჩათვლაში ახლა მიხაელ შუმახერს 82 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს მონტოიას 3 ქულით უსწრებს. 75 ქულით მესამეზეა კიმი რაიკინენი, იგი ტრასის ფინიშთან მეოთხე მიიჭრა.

# შეხვედრის ადგილი უცვლელია

ინგლისის ჩოგბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით სპორტის ამ სახეობაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის — „უიმბლდონის“ ჩატარების ვადები არ შეიცვლება. წლევანდელი უიმბლდონის ტურნირის დასრულების შემდეგ გამოითქვა აზრი, რომ ეს ტურნირი მომავალში ერთი კვირით გვიან დაწყებულიყო, რათა ჩოგბურთელებს „როლან გაროსის“ შემდეგ მეტხანს დასვენების საშუალება მისცემოდათ. თუმცა როგორც ჩანს, ამ იდეას მხარდამჭერები არ გამოუჩნდნენ.

„კარგად ვიცით, რომ უიმბლდონის ტურნირზე დასწრებას ჩოგბურთის მოყვარულები ადრე გეგმავენ, თვით მონაწილეებიც მიჩვეულნი არიან და ვადების შეცვლა საჭირო აღარ არის,“ — განაცხადა ინგლისის ჩოგბურთის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა კრისტოფერ გორინჯმა.

# პოლა რედკლიფმა ახალი რეკორდი დაამყარა

ინგლისელმა მორბენალმა პოლა რედკლიფმა 5 კილომეტრიან დისტანციაზე მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა. ეს მოხდა ლონდონის „ჰაიდ პარკში“ გამართულ გარბენში, სადაც მან 14 წუთი და 51 წამი აჩვენა. აქვე აღვნიშნავთ, რომ რედკლიფს ასევე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი 10 კილომეტრიან დისტანციაზე სირბილში. საინტერესოა, რომ პოლამ ახლახან, პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ იასპარეზა, რადგან ტრავმა ბოლომდე მოშუშებული არ ჰქონდა. როგორც ჩანს, მას დრო უქმად მაინც არ დაუკარგავს და აკი დაბრუნება რეკორდითაც აღნიშნა.

# ჰაშეკი ნჰლ-ში ბრუნდება?

არ არის გამორიცხული, რომ ნჰლ-ში, კერძოდ, „დეტროიტის“ შემადგენლობაში კვლავ დაბრუნდეს სახელგანთქმული ჩეხი გოლკიპერი დომინიკ ჰაშეკი, რომელმაც შარშან სტენლის თასის მოპოვების შემდეგ დიდი ჰოკეი მიატოვა.

ჰაშეკის ადგილი შარშანდელ სეზონში ჯოზეფმა დაიკავა, რომელმაც გუნდის ხელმძღვანელობის იმედები ვერ გაამართლა, ახლა ტრავმირებულია და არ არის გამორიცხული, კლუბი დატოვოს. აქედან გამომდინარე „დეტროიტის“ ხელმძღვანელობას ისევ 38 წლის ჰაშეკის იმედი აქვს. უკანასკნელი ინფორმაციით, ჰაშეკი უკვე ვარჯიშობს „დეტროიტის“ შემადგენლობაში.

# კარპოვი „პოლარულ“ ტურნირს ატარებს

5 ოქტომბერს სალეჰარდეში დაიწყება მეტად საინტერესო საჭადრაკო ტურნირი არქტიკის მსოფლიო თასზე. მასში იასპარეზებენ „პოლარული“ ქვეყნების წარმომადგენელი 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეები. მონაწილეთა შორის იქნებიან მოჭადრაკეები რუსეთიდან, შვედეთიდან, კანადიდან, ალიასკიდან და სხვა ქვეყნებიდან. ტურნირის ერთ-ერთი ინიციატორია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანატოლი კაროპოვი.

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მძლეოსანი, ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, დამსახურებული მწვრთნელი და მასწავლებელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, მძლეოსნობის ფედერაციის წევრი, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, დიდუბე-ჩუღურეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, ღირსების ორდენის კავალერი

ნუხა (ნოდარ) გაგოშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი, პირადად მისი თავმჯდომარე იროდი ბეჟაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ვეტერანი სპორტსმენის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და დამსახურებული მასწავლებლის, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტის, მძლეოსნობაში ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენოსნის

ნუხა (ნოდარ) გაგოშიძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს, საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას.

# ნუხა (ნოდარ) გაგოშიძე



გვიმძიმს დღეს უკვე წარსულში ვილაპარაკოთ კაცზე, რომელიც ასე გვალამაზებდა ყველას თავისი სიცოცხლით — გარდაიცვალა ნუხა გაგოშიძე.

ქართული სპორტული მოძრაობა ბედნიერი იყო იმით, რომ მის რიგებში ათეული წლები მუხლჩაუხრელად, თავდადებით, უაღრესად ერთგულად იღვწოდა კაცი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ სპორტში, როგორც ვეტერანმა სპორსტმენმა და სპორტის გამორჩეულმა ორგანიზატორმა.

მას ყველგან შეხვდებოდით, მუდამ იყო ჩვენი სპორტული მოძრაობის მოწინავე ხაზზე, განსაკუთრებით ერთგულობდა მასობრივ სპორტს, ყველაფერს აკეთებდა ადამიანების ყოფაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დასანერგად. დიდი სპორტული შეჯიბრებები ხომ უიმისოდ არ ჩაივლიდა, მას ანდობდნენ ყველაზე საპასუხისმგებლო ფუნქციას, რადგან მუდამ იყო ობიექტურობისა და პატიოსნების განსახიერება.

დიდხანს იღვაწა მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში, რომლის თავდადებული გარჯით, მუდამ მოწინავეთა რიგებში იყო ეს სასწავლებელი, სადაც ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მივიდა ფიზაღზრდის მასწავლებლად. შემდეგ პოლიტექნიკურ და ინდუსტრიულ ტექნიკუმებს გაუთქვა სახელი მთელ საბჭოთა კავშირში. ბოლოს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სპორტკომიტეტს ედგა სათავეში და საქვეყნოდ იძლეოდა იმის მკაფიო მაგალითს თუ როგორ შეიძლება, სიძნელეების მიუხედავად, ღირსეულად აკეთო შენი საქმე.

ჩვენში ბევრი როდია ერთდროულად საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი და მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი რომ იყოს. ღვაწლი ყოველთვის უფასდებოდა, ჯერ საბჭოთა პერიოდში დაჯილდოვდა საპატიო ნიშნის ორდენით, შემდეგ დამოუკიდებელ საქართველოში დაიმსახურა ღირსების ორდენი, იყო ეროვნული და საკავშირო კატეგორიის მსაჯი. ჩვეული პასუხისმგებლობით უძღვებოდა საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციას, სადაც სიძნელეების შეჭიდება და დაძლევა მისი სტიქია იყო — ხშირად ატარებდა მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს.

და ისიც იშვიათობაა, როცა ადამიანი საქმითაც და პიროვნული ღირსებებითაც თანაბრად გამოირჩევა. ნუხა გაგოშიძე სწორედ ასეთი პიროვნება იყო: უკომპლექსო, სულიერი სიკასკასით გამორჩეული, ლაღად მომფერებელი, მუდამ სითბო რომ გამოკრთოდა მის გამოხედვაში და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ღიმილში. მას ყველა უყვარდა და ასევე თავადაც ყველას უყვარდა. ვაგლახ, რომ საერთო სიყვარული, საერთო გლოვად გვექცა. უსაზღვრო სევდითა და ტკივილით გაცილებთ იმქვეყნად ჩვენო ნუხა! შენი ხსოვნა დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი,
ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის
საქალაქო სამსახური.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამავე კომიტეტის წევრი, ქვეყნის გამოჩენილი სპორტული მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და მასწავლებელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, ეროვნული და საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, დიდუბე — ჩუღურეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე

ნუხა (ნოდარ) გაგოშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**16 სექტემბერი, სამშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. 1 არხი.** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (14.05, 15.15), **რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგა: „რეინჯერსი“ — „შტუტგარტი“ (23.45, მიმოხილვა 2.00), **ევრიკა.** „სპორტის სამყარო“ (21.30), **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (20.00), **იმედი.** „გოლი“ (10.30), *НТВ.* ჩემპიონთაა ლიგა: „რეალი“ — „მარსელი“ (23.35), *НТВ плюс футбол.* ინგლისის ჩემპიონატი: „ლესტერი“ — „ლიდსი“ (14.00), უკრაინის ჩემპიონატი (16.30), ბრაზილიის ჩემპიონატი: „ფიგეირენსე“ — „სან-პაულუ“ (18.15), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.15), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.10), ჩემპიონთა ლიგა: „მილანი“ — „აიაქსი“ (23.05), სერბია და ჩერნოგორიის „პარტიზანი“ — „პორტუ“ (1.35), ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი (15.10), ბილიარდი. რუსეთის ჩემპიონატი (19.15), ნახევარი ცხოვრება „სპარტაკისთვის“. ვლადიმირ მასლაჩენკო (22.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „პანათინაიკოსი“ (23.40), EUROSPORT. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ევრო-2004. შესარჩევი მატჩი (16.30, 17.30), კრივი. „ტბა“ (18.30, 23.00).

**17 სექტემბერი, ოთხშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (14.05, 15.15), **რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი“ — „ინტერი“ (23.45, მიმოხილვა — 2.00), **ევრიკა.** „სპორტის სამყარო“ (21.30), **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (20.00), *НТВ.* ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კიევის „დინამო“ — მოსკოვის „ლოკომოტივი“ (2.45), *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „რეალი“ — „მარსელი“ (13.20), „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „პანათინაიკოსი“ (14.55), სერბია და ჩერნოგორიის „პარტიზანი“ — „პორტუ“ (17.45), „მილანი“ — „აიაქსი“ (20.15), უკრაინის „დინამო“ — რუსეთის „ლოკომოტივი“ (23.00), „ბავარია“ — „სელტიკი“ (1.35), იტალიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (16.50), „ფუტბოლ მუნდიალი“ (19.25), ***НТВ плюс спорт.*** ნახევარი ცხოვრება „სპარტაკისათვის“. ვლადიმირ მასლაჩენკო (13.15), კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი (19.15), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „არსენალი“ — „ინტერი“ (23.40). EUROSPORT. ევროგოლები, საფეხბურთო ჟურნალი (12.00), საპლაჟო ფრენბურთი. მსოფლიო ტური. ვაჟები (14.30), კრივი. „ტბა“ (15.30), საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (1.00).

**18 სექტემბერი, ხუთშაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. I არხი.** ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (14.05, 15.15), **რუსთავი-2.** ჩემპიონთა ლიგა: „იუვენტუსი“ — „გალათასარაი“ (15.20), **ევრიკა.** „სპორტის სამყარო“ (19.30), **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (14.50), „ქართული ფეხბურთი“ (20.00), **იმედი.** სპორტული პროგრამა „ესტაფეტა“ (20.15), *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: უკრაინის „დინამო“ — რუსეთის „ლოკომოტივი“ (13.20), „არსენალი“ — ინტერი“ (15.00), „ბავარია“ — „სელტიკი“ (18.10), „იუვენტუსი“ — „გალათასარაი“ (21.05), ჩემპიონთა ლიგის მატჩების მიმოხილვა (22.50), „ცხრიანი“ (17.00), ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.15), გერმანიის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (0.50). ***НТВ плюс спорт.*** თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), კრივი. მგერ მკრტჩიანი — დონი დევისი (23.30), EUROSPORT. საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (12.30), სპიდვეი. მსოფლიო თასი (13.30), კრივი. „ტბა“ (15.30), მძლეოსნობა. სპრინტერები (20.15), მოტორბოლა. გრან-პრი. რიო-დე-ჟანეირო. პირდაპირი ტრანსლაცია (21.15), სუმო, ბასე (2.15, 3.15).

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია ღრმა სამძიმარს გამოთქვამს ჩვენი ჟურნალისტებისა და გაზეთის მუდამ ერთგული მეგობრის

ნუხა (ნოდარ) გაგოშიძის

გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა დიდუბე-ჩუღურეთის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და მასწავლებელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს მოსახლეობის გაჯანსაღებისა და მასობრივი სპორტის ფედერაციის პრეზიდენტი, ღირსების ორდენოსანი

ნუხა (ნოდარ) გაგოშიძე

და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი № 71



**თარაზულად:** 1. ცნობილი ქართველი მოჭადრაკე ვაჟი, 9. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 10. ძალიან ნელი, არააქტიური ადამიანი, 11. მარცხენა ხელით მოფარიკავე, 12. ვეტერანი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 13. პარაგვაელი ფეხბურთელი, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე — მეკარე, 14. ნბა-ს ცნობილი კალათბურთელი, 16. ცხენთა შეჯიბრება რბენაში, 18. ცნობილი თურქი ფეხბურთელი, 20. მძლეოსნობაში მომეცადინე, 21. ნხლ-ის ლეგენდარული ვეტერანი კანადელი ხოკეისტი, 22. წარსულში ცნობილი ამერიკელი პროფესიონალი მოკრივე, 23. სახელგანთქმული ვეტერანი უნგრელი წყალბურთელი — მეკარე, 25. ილეთი ტანვარჯიშულ იარაღზე, 26. ესპანეთის „მალიორკას“ მეკარე, 27. ცრუ მოძრაობა, ანუ...

**შვეულად:** 1. სპორტის საწყლოსნო სახეობა, 2. ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი 1980 წელს, 3. ვეტერანი ტანმოვარჯიშე ქალი (გდრ) 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, 4. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 5. ძალოსნობის პროგრამა, 6. შეფასება ძიუდოში, 7. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 8. გასწვრივი საასპარეზო ზოლი მძლეოსნობაში, ცურვაში და ა.შ., 15. მექსიკელი ფეხბურთელი, 1998 წლის მს. ჩემპიონატის მონაწილე, 16. ცნობილი რუსი ვეტერანი ფეხბურთელი — მეკარე, 17. ძალა, ანუ... 19. საჩოგბურთო მოედანი, 20. ინგლისის ნაკრების ვეტერანი ფეხბურთელი, 24. ფეხბურთელ კოშტას სახელი.

შეადგინა ნოდარ ჯაჯვაძემ

### კროსვორდი №70-ის პასუხები:

**თარაზულად:** 1. წრიაპი, 7. „სარბიელი“, 9. პია, 10. „ლეიკერსი“, 12. არიგო, 14. ჩემა, 15. „ელჩე“, 17. ალბერტი, 19. ოსი, 21. იერიში, 23. კიმონო, 25. „ბოლონია“, 26. ზიდანი.

**შვეულად:** 2. ისარი, 3. პაბლო, 4. ბა, 5. ლეკი, 6. მიკი, 8. ბურე, 9. პლანერი, 11. კალოევი, 13. ემერსონი, 16. სტადიონი, 18. მარულა, 20. ვიალი, 22. შუბი, 24. ალი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)




შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლa1!
1. ..... b2 2. ლa8 ----- 3. ლh1X;
1. ..... b5 2. ლa3+ b2 3. ლe3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე